



საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი – ციფრული გამოცემა

თამარ კალხიტაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სადოქტორო პროგრამა - ციფრული ჰუმანიტარია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომი არ არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: *ა. ვალსიყაძე*

თარიღი: 13.02.2023

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი აღწერს ეპიგრაფიკული მასალის ციფრული სამეცნიერო გამოცემის მეთოდოლოგიას საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის მაგალითზე. საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის ციფრული გამოცემა ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, ერთი, ესაა არსებული ბეჭდური სამეცნიერო გამოცემების რეაქტუალიზაცია და მეორე – საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის ციფრული სამეცნიერო გამოცემა და კურაცია.

ციფრული ეპიგრაფიკული გამოცემის შესასრულებლად, კონკრეტული მეთოდების გარდა, საჭიროა ეპიგრაფიკის ისტორიის გააზრება და ციფრული ჰუმანიტარიის თანამედროვე პრინციპების მიხედვით ხედვის ჩამოყალიბება. [სადისერტაციო კვლევამ და მასალის ციფრული გამოცემისათვის ჩატარებულმა ტექნიკურმა სამუშაომ გამოაჩინა, რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა და რა დამხმარე ციფრული რესურსები უნდა შეიქმნას საქართველოს ეპიგრაფიკული, ხელნაწერი თუ სხვა ნაკლულად აღწერილი მემკვიდრეობის სრულყოფილი ციფრული რეპრეზენტაციისათვის. შესაბამის ქვეთავებში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები გარე და შიდა კონტროლირებადი ლექსიკონების შესაქმნელად, ასევე დასაბუთებულია მიღებული სარედაქციო თუ ტექნიკური გადაწყვეტილებები და განხილულია კორპუსის სამომავლო დახვეწის გზები.

ნაშრომის საწყის თავეებში ნაჩვენებია ჩვენში ეპიგრაფიკული კვლევის და გამოცემის მნიშვნელოვანი ეტაპები, რომელიც, თავის მხრივ, დარგის საერთაშორისო განვითარების ხაზთანაა შედარებული. სწორედ ეს ვრცელი ანალიზი გვაჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია გარდამავალი ეტაპი იმისათვის, რომ საქართველოს ეპიგრაფიკული მასალა და მისი ქართულენოვანი კვლევა-გამოცემა დაბრუნდეს დარგის განვითარების მიმდინარე საერთაშორისო ეტაპზე და ჩაერთოს საკვლევი მასალის ციფრულ მიმოქცევაში .

ნაშრომის თითო თავი ეთმობა [TEI EpiDoc-სა](#) და [EFES-ს პლატფორმას](#). EpiDoc-ის ქვეთავში მოცემულია ნარწერის XML ფორმატში კოდირების წესების დეტალური ტექნიკური აღწერა, თითოეული წესის შემთხვევაში მოყვანილია კოდირების კონკრეტული მაგალითები საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსიდან (შემდეგ ქვეთავებში შემოკლებულია როგორც სეკ). EFES პლატფორმის თავში აღწერილია, როგორ მოხდა

ეპიგრაფიკული მასალის ვებზე განთავსებისათვის არსებული ჩარჩო პლატფორმის მორგება საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსისათვის.

ციფრული სამეცნიერო გამოცემის მოსამზადებლად საჭირო ნაბიჯების აღწერა, და გამოცემის საერთაშორისო სტანდარტის TEI-ს, EpiDoc-ისა და EFES-ის პლატფორმების საქართველოს ეპიგრაფიკულ მასალაზე მორგების მაგალითები სახელმძღვანელოდ გამოადგება არა მხოლოდ ციფრული ეპიგრაფიკული გამოცემით არამედ, ზოგადად, ციფრული ჰუმანიტარიით დაინტერესებულ მკვლევრებსაც. სადოქტორო კვლევის შედეგები რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით 2020 წელს წიგნადაც გამოიცა¹.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპიგრაფიკა, ციფრული სამეცნიერო გამოცემა, TEI, EpiDoc, EFES

¹ თამარ კალხიტაშვილი, ციფრული ეპიგრაფიკა გამოცემის სტანდარტი და მეთოდოლოგია, 2020 - ხელმისაწვდომია ციფრული სახით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

Abstract

The thesis describes the methodology of the digital scientific publication of epigraphic material on the example of the Epigraphic Corpus of Georgia. The digital edition of the multilingual epigraphic heritage of Georgia serves these essential purposes: the actualization of the existing printed scientific publications, digital scientific publication and curation of the epigraphic heritage of Georgia.

In order to carry out a digital epigraphic publication, in addition to specific methods, it is necessary to understand the history of epigraphy and form a vision according to the modern principles of digital humanities. The conducted research and technical work for the digital edition showed in which direction the work should continue and what additional digital resources should be created for a complete digital representation of the epigraphic, manuscript or other incompletely described heritage of Georgia. Specific recommendations for creating controlled vocabularies are given in the relevant sub-chapters. The editorial and technical decisions taken are also justified, and ways of future improvement of the corpus are discussed.

The initial chapters of the work show the crucial stages of epigraphic research and publication in our country, which is compared to the line of international development of the field. This extensive analysis shows how vital the transitional stage is for the epigraphic material of Georgia and its Georgian-language research and publication to return and join the current international stage of the field's development.

The necessary steps for the preparation of a digital scientific publication, as well as the examples of the adaptation of the international publication standard TEI, EpiDoc and EFES platforms to the epigraphic material of Georgia, will be helpful as a guide not only for the creation of a digital epigraphic corpus but also for researchers interested in digital humanities in general.

Keywords: Digital Epigraphy, Kartvelology, TEI, EpiDoc, EFES

მადლობა

მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელსა და ოჯახს, რომ მომცეს საშუალება მეფიქრა და მემუშავა ჩემთვის საინტერესო საკითხზე.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract	4
მადლობა	5
სარჩევი	6
შესავალი	6
პირველი ეპიგრაფიკული გამოცემები საქართველოდან	10
„ბერძნული პროექტის“ როლი კავკასიის შესწავლაში	10
საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და ლურსმული წარწერები	14
კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი და ეპიგრაფიკა საქართველოში	15
სააზიო საზოგადოებები და Georgica	19
პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ	24
საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ	27
ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსული გამოცემა	30
ციფრული რეკოლუცია და ჰუმანიტარული მეცნიერებები	32
ციფრული ეპიგრაფიკა	37
ლაიდენის კონვენცია და მისი გაციფრულების გზები	38
TEI და EpiDoc	45
TEI ჰედერი ეპიგრაფიკული ძეგლისათვის	46
ფაილების სახელდება და სათაურების კოდირება - ორენოვანი გამოცემის შემთხვევა	50
ამოსავალი გამოცემის შერჩევა და ექვდური გამოცემის რედაქტორის მითითება	51
ციფრულ გამოცემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია და გავრცელების ლიცენზია - სეკ (საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის) შემთხვევა	51
წარწერის შინაარსობრივი კატეგორია, მისი კოდირება	53
წარწერის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის აღწერა	54
მასალის აღწერა და LOD (Linked Open Data) პრინციპის გამოყენება სეკ-ში	55
ობიექტის ტიპის აღწერა და LOD (Linked Open Data) პრინციპის გამოყენება სეკ-ში	56
ობიექტის ზომების კოდირება	57
წარწერიანი ზედაპირის აღწერა	57
წარწერის ხელის აღწერა	59
წარწერის წარმოშობის მეტამონაცემები	69
წარწერის ფოტოდოკუმენტაციის კოდირება, (EFES-ში წარმოქმნილი პრობლემა და გადაჭრის მაგალითი Archetype-ის საშუალებით სეკ-დან)	72
ბიბლიოგრაფიის კოდირება წარწერის ფაილში	72
წარწერის ტექსტის კოდირება	79
ქარაგმა	84
რედაქტორული ჩარევა ტექსტში	88
ლინგვისტური ანოტირება	88

პირის სახელების კოდირება	89
ადგილთა და წოდებათა სახელების კოდირება	108
ლიგატურებისა და სხვა კერძო თავისებურებების კოდირება	110
თარგმანისა და კომენტარის განყოფილება	113
EFES ეპიგრაფიკული ციფრული გამოცემის პლატფორმა	114
EFES-ის ადაპტაცია სეკ-ის საჭიროებებისათვის	117
მრავალენოვანი კორპუსის აგების გზები – სეკ-ის მაგალითი	117
საინდექსაციო გვერდების აგება შესრულებული კოდირების საფუძველზე	119
კორპუსის ყველა ქარაგმის საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	119
ლემების საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	130
მოსხენიებული ადგილების საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	131
წოდებათა საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	134
რიცხვთა საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	142
ფრაგმენტული წარწერების საინდექსაციო გვერდი EFES-ზე	147
ძიება სეკ-ში, Facets, შესრულებული კოდირების საფუძველზე	150
ხანმეტობა-ჰამეტობის, შესრულების ტექნიკის, ანბანისა თუ სხვა მახასიათებლებით ფილტრაცია	150
კორპუსის განთავსება სერვერზე და ციფრული მდგრადობა, გამოწვევები და პერსპექტივები	162
დასკვნა	163
ბიბლიოგრაფია	167
დანართი 1	171
დანართი 2	192
დანართი 3	197

შესავალი

საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია ენის, დამწერლობის, შინაარსის, მასალისა თუ შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით. საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის ციფრულ გამოცემაში ამ მრავალფეროვნების წარმოსაჩენად XML ფორმატში კოდირება გავუკეთეთ ქართულ, სომხურ, ბერძნულ, ებრაულ, არამეულ და რამდენიმე ლათინურ წარწერას ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის სტანდარტის, EpiDoc²-ის მიხედვით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული გამოცემა ეყრდნობა არსებულ ბეჭდურ გამოცემებს, რომელთა სრული ნუსხა წარმოდგენილია კორპუსის შესაბამის განყოფილებაში, ბიბლიოგრაფიის კოდირების წესი და მაგალითები კი განხილულია ნაშრომის შესაბამის ქვეთავში. კორპუსში ასევე შევიდა საქართველოს გარეთ აღმოჩენილი და დაცული ქართული წარწერები და სომხეთის ის სომხური წარწერები, რომლებიც ქართველ მეფეებს ან ქართულ ტოპონიმებს იხსენიებს. გარდა იმისა, რომ ეს წარწერები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა, მიზნად გვქონდა შეგვესრულებინა სახელთა სტანდარტული აღწერა XML ფორმატში, რომელმაც უკვე მოგვცა რეგიონული ფოკუსის ციფრული კონტროლირებული ლექსიკონის შესაქმნელი მასალა, (კოდირების მაგალითები და შედეგები განხილულია ნაშრომის [შესაბამის ქვეთავში](#)).

საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის სტანდარტიზებულ ციფრულ გამოცემასთან ერთად, ციფრული კორპუსის შექმნისას ვიხელმძღვანელებთ ე.წ. [მულებით დაკავშირებული ღია მონაცემების პრინციპით (LOD linked open data). თითოეული წარწერის ციფრული გამოცემის შესაქმნელად გვიხდებოდა სრული ბიბლიოგრაფიის მოძიება, ამოსავალი ბეჭდური გამოცემის შერჩევა, ტექსტისა და მეტამონაცემების სტანდარტის მიხედვით კოდირება, რამაც, ერთი მხრივ, საშუალება მოგვცა კრიტიკული და დიპლომატიური გამოცემები გვერდიგვერდ წარმოგვედგინა, მეორე მხრივ კი, წარწერის მასალა თუ ობიექტის ტიპი ისეთ საერთაშორისო ეპიგრაფიკულ ბაზებთან დაგვეკავშირებინა, როგორცაა EAGLE europeana; გეოგრაფიული სახელები, სადაც ეს შესაძლებელი იყო,

² EpiDoc არის ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური მასალის გამოცემის წესების, ლაიდენის კონვენციის ციფრული ანალოგი.

ანტიკურ ადგილთა საცავ პლენიადეს³ დაფუკავშირეთ. სამომავლოდ, ამგვარი ადგილთა ციფრული საცავი, ფართო რეგიონული ფოკუსით, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის⁴ საფუძველზე უნდა შეიქმნას და შემდგომ ისტორიული წყაროების ციფრულ გამოცემებში რეფერირებისთვის იქნას გამოყენებული.

საქართველოს წარწერების პირველი ბეჭდური გამოცემები ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებს უკავშირდება, ახლადშემოერთებულ კავკასიაში მოგზაურობისათვის ნებართვას და ზოგ შემთხვევაში დაფინანსებას რუსეთის იმპერია გასცემდა, ამიტომაც, გარდა სამეცნიერო მოხსენებების და პუბლიკაციებისა, მოგზაურობის შედეგები რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილ ანგარიშებში იყრიდა თავს.⁵

ქადგან ციფრული რევოლუცია პირდაპირაა დავალებული ისტორიული წინაპირობებისაგან, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საქართველოს ეპიგრაფიკის სამეცნიერო შესწავლას და ბეჭდურ გამოცემასაც ჰქონდა ასეთი წინაპირობები, კერძოდ, ეკატერინე მეორის მიერ „ბერძნული პროექტის“ ფორმირება და ყირიმის ანექსია 1783 წლის 19 აპრილს, რასაც მოჰყვა ქართლ-კახეთის სამეფოსთან 1783 წლის 24 ივლისს გაფორმებული ტრაქტატი და რეგიონის შემდგომი თანმიმდევრული ანექსია.

მოგზაური-მეცნიერები, რომლებიც ექსპედიციის შედეგებს აქვეყნებდნენ, ხშირად ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ იმ დროის ქართველ სწავლულებთან, ამგვარი თანამშრომლობის კარგი მაგალითია თეიმურაზ ბატონიშვილის დახმარებით მარი ბროსეს მიერ განუული შრომა პირველი ქართული ლითონის საბეჭდი ასოების ჩამოსასხმელად (ბროსე 2017). კიდევ ერთი შეხვედრა საინტერესოდ ახასიათებს მოგვიანო პერიოდს, თეოდორ მომზენის დავალებით ახლად აღმოჩენილი ლურსმული წარწერების შესასწავლად თბილისში ჩამოსული ორიენტალისტი კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი შეხვდა პირველ ქართველ ფოტოგრაფს, ალექსანდრე როინაშვილს, სასტუმრო „ლონდონში“, როინაშვილს

³ <https://pleiades.stoa.org/>

⁴ გელა გამყრელიძე 2013

⁵ მაგალითისათვის, Johann Anton Gldenstdt, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebrge; Auf Befehl der Russisch-Kayserlichen Akad. der Wiss. hrsg. von P. S. Pallas. - St. Petersburg, 1787-1791 Marie-Flicit Brosset, Rapports sur un voyage archologique dans la Gorgie et dans l'Armnie: excut en 1847-1848 sous les auspices du prince Vorontzoff, lieutenant du Caucase; ასევე Zeitschrift fr Ethnologie 1886, 189

რუსეთის იმპერიის მიერ ახლადდაპყრობილ მიწებზე მეგზურებად მომუშავე ქურთებისაგან შესყიდული ლურსმული წარწერები სასტუმროში გამოეფინა, ლემან-ჰაუპტი აღწერს, როგორ მოუხდა როინაშვილი გაეწილებინა, რადგან წარწერების ნაწილი ნაყალბევი აღმოჩნდა. (Lehmann-Haupt 1926, 30)

მეორე ეტაპი საქართველოს წარწერების გამოცემაში 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებით იწყება. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის პირველი სახელმძღვანელო პალეოგრაფიაში – დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია (1926). ნაშრომზე მუშაობა ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1914 წელს დაიწყო, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულ ეპიგრაფიკას ასწავლიდა. (ჯავახიშვილი 1926, შესავალი). ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, სხვა საგნებთან ერთად, იგი ასწავლიდა ქართულ პალეოგრაფიასაც, სწორედ ამ პროცესში შეივსო და დასრულდა ნაშრომიც. ჯავახიშვილი წერს, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე არ არსებობდა ბეჭდვითი ორგანო ქართული წარწერების გამოსაქვეყნებლად და, წინა საუკუნის ევროპული პრაქტიკის მსგავსად, ეპიგრაფიკული მასალა ჟურნალ-გაზეთებში იყო გაბნეული. (ჯავახიშვილი 1949, 22)

პირველი რესპუბლიკის დაპყრობისა და საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდგომ, 1920-იან წლებში კულტურული მემკვიდრეობის შეგროვება, დაცვა და გამოცემა სახელმწიფოს ხელში გადადის. ქართველოლოგიური კვლევების ცენტრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი ყალიბდება. 1936 წელს მათ შეემატა „ენიმიკი“ – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ნიკო მარის ინსტიტუტი. შემდგომში „ენიმიკი“ ორ, ენისა და ისტორიის, ინსტიტუტად დაიყო. „ენიმიკის“ მოამბეში დაიბეჭდა პირველად გიორგი წერეთლის წერილი არმაზის ბილინგვის შესახებ, რომელიც მალევე გამოქვეყნდა უცხოეთში, კერძოდ სამეცნიერო ჟურნალში: *Journal of Roman Studies* (Tsereteli 1942).

განსხვავებით „რევოლუციამდელი“ პერიოდისაგან, ცხადი მიზეზების გამო, საბჭოთა რეჟიმის პირობებში უცხოელ მკვლევრებს საშუალება არ ჰქონიათ საქართველოს ეპიგრაფიკულ მასალაზე ემუშავათ. მიუხედავად ამისა, 1952-1953 წლებში იტალიელმა არქეოლოგმა, ვირჯილიო კორბომ იუდეის უდაბნოში, ბეთლემთან ახლოს, ქართული ასომთავრული წარწერები აღმოაჩინა. (დანელია, სარჯველაძე 1997) მოგვიანებით

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1960-იანი წლებში კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება. სწორედ ქართველოლოგიის ეს ცენტრები წარმართავდნენ ეპიგრაფიკის კვლევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეპიგრაფიკული მასალის ქართული გამოცემები სტანდარტის თვალსაზრისით არ არის ჰომოგენური, თუკი ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური მასალის გამოცემის სტანდარტი, ლაიდენის კონვენცია საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში 1930-იანი წლებიდან შედის, მეოცე საუკუნის ქართველ მკვლევართაგან კონვენციის შესახებ მხოლოდ ერთ ავტორთან, თინათინ ყაუხჩიშვილთან ვხვდებით ცნობებს (ყაუხჩიშვილი 1951, წინასიტყვაობა).

თითოეულ ამ ეტაპს და მის დამახასიათებელ ბეჭდურ გამოცემებს ნაშრომის პირველ თავში დეტალურად მიმოვიხილავთ, აქ კი დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ XVIII-XX საუკუნეებში შესრულებული საქართველოს და ქართული წარწერების ბეჭდურ გამოცემებს აკლდა სისტემურობა (ამის შესახებ იხ. ივანე ჯავახიშვილისა და ზაზა ალექსიძის მოსაზრებები ქვემოთ) და ისინი არც საერთაშორისო კონვენციას მისდევდნენ – ეს წინაპირობა ქმნის დღეისათვის ქართული ციფრული ეპიგრაფიკისათვის მთავარ გამოწვევასაც და ამოცანასაც – არსებული ბეჭდური და სამომავლოდ ე.წ. „ციფრულად დაბადებული“ (born digital) გამოცემები საერთაშორისო სტანდარტის, ლაიდენის კონვენციის ციფრული ანალოგის, EpiDoc-ის მიხედვით უნდა აღინეროს და გამოიცეს. წინამდებარე ნაშრომი აღწერს კვლევა-ძიებას, ცდებსა და შეცდომებს ამ გზაზე.

პირველი ეპიგრაფიკული გამოცემები საქართველოდან

„ბერძნული პროექტის“ როლი კავკასიის შესწავლაში
ეკატერინე II და მის სამსახურში მყოფი გერმანელი სწავლულები

1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთსა რუსეთს შორის ომი გამოცხადდა. რუსეთის იმპერიის მთავარ ამოცანას შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება წარმოადგენდა. 1772 წლის 1 ნოემბერს, ყირიმის ხანთან, საჰიბ-გირეისთან დადებული ხელშეკრულების ძალით ყირიმი რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სახანოდ გამოცხადდა.

რუსეთის იმპერიის საზღვრები კავკასიისაკენ მოინეცდა. ოსმალეთთან წარმოებული ომის ფარგლებში მოენყო ე.წ. პირველი „არქიპელაგის ექსპედიცია“, დაიწყო პელოპონესის აჯანყება (ბერძნ. Ορλωφικά) და ეკატერინე მეორის კარზე ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორესთან მოკავშირეობით ე.წ. „ბერძნულ პროექტზე“ მუშაობა დაიწყო, რაც ოსმალეთის იმპერიის დამარცხებას და მისი ტერიტორიის, i.e. „ბიზანტიის ტერიტორიის“ რუსეთსა და ავსტრიას შორის განაწილებას გულისხმობდა.⁶

სწორედ ამ საერთო დიდი გეგმის ერთი კერძო ნაწილი იყო კავკასიის რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევა, „ბერძნული გეგმის“ არაპირდაპირი შედეგი იყო 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატიც. თუმცა დარიალის ხეობა რუსულმა ჯარმა გენერალ ტოტლებენის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1770 წელს ახალციხეში ოსმალეთზე იერიშის მისატანად გამოიარა. ერეკლე მეორესა და ჯარის მეთაურებთან უთანხმოების გამო⁷ (David Lang 1962) გენერალმა ტოტლებენმა დატოვა ბრძოლის ველი, რითაც ქართულ ზეპირ ისტორიაში სამუდამო ადგილი მოიპოვა.

საგულისხმოა, რომ რუსული სამხედრო ძალის პირველ გამოჩენას კავკასიაში უმოკლეს ხანში მოჰყვა ექსპედიციებიც, რომელსაც ეკატერინე მეორის მფარველობით გერმანელი მეცნიერები აწარმოებდნენ. პირველი ასეთი ექსპედიციის ხელმძღვანელმა, იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, საქართველოში 1771 წლის სექტემბერში ჩამოაღწია და აქ 1772 წლის ოქტომბრამდე დარჩა.

⁶ Edgar Hösch: Das sogenannte „griechische Projekt“ Katharinas II. Ideologie und Wirklichkeit der russischen Orientpolitik in der zweiten Hälfte des 18. Jahrhunderts. Jahrbücher für Geschichte Osteuropas (JGO), 1964, 168–206

⁷ David Lang, A Modern History of Georgia. London: Weidenfeld and Nicolson. 1962

იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა დოქტორის ხარისხი 1767 წელს მიიღო ბერლინში. 1768 წელს კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მინვევით ახალგაზრდა მეცნიერი პეტერბურგში ჩავიდა 1768-1774 წლების ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო კავკასიის სისტემური შესწავლის პირველი ცდა. გიულდენშტედტის ექსპედიცია იყო იმ დროისათვის ტიპური, (როგორც მაგალითად მოგვიანებით იყო ამერიკაში ლუისისა და კლარკის ექსპედიცია), განმანათლებლობის სულისკვეთებით წარმართული ექსპედიცია, რომლის მიზანიც იყო შესასწავლი რეგიონის ყოველ ასპექტზე – ბუნებრივ რესურსებზე, ფლორას, ფაუნას, გეოგრაფიასა და გეოლოგიაზე, ხალხზე, ეკონომიკასა და მმართველობაზე – დაკვირვება და მათი აღწერა. ასეთი დაწვრილმანების წყალობით შემოგვრჩა გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთაგან ერთი, მწვანეყვავილას წარწერა მხოლოდ საექსპედიციო ჩანაწერებშია დოკუმენტირებული.

გიულდენშტედტი ექსპედიციას წარმართავდა რუსული საიმპერატორო კარის წყალობით, სადაც უკვე რეალურ სახეს იძენდა „საბერძნეთის გეგმა“, ოსმალეთ-რუსეთის ომი კი ისევ მიმდინარეობდა. ნატურალისტი და მედიცინის დოქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ნავთობისა და მინერალების სავარაუდო კერების აღწერას უთმობდა, თუმცა, მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის დავალებით, ასევე შეაგროვა მონაცემები ადგილობრივი ენების შესახებ, შექმნა ლექსიკონები. ექსპედიციის წევრები იყვნენ: ალექსი ბელიაევი, ბორის ზრიაკოვსკი, ადრიან სოკოლოვი, სტეპან კრაშენნიკოვი, ფიტულების ოსტატი სიმონ ტარბეევი და მხატვარი გრიგორი ბელი, რომელმაც ქართულ წარწერათა თერთმეტი ტაბულა შექმნა.

გიულდენშტედტს კახეთი ერეკლე მეორემ მოატარა, იმერეთში სოლომონ მეფე მასპინძლობდა, ასევე ეწვია რაჭას და სამხრეთ საქართველოს დავით ერისთავის მეგზურობით. ჩანაწერების სისტემატიზაციას გიულდენშტედტმა ერთი თვე დაუთმო სტეფანწმინდაში, საიდანაც 1772 წელს პეტერბურგში დაბრუნდა.

1776 წელს გაიმართა პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ორმოცდაათი წლის იუბილე, რომელზეც გიულდენშტედტმა ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით ფრანგულ ენაზე წარმოადგინა მოხსენება.⁸

⁸ А. И. Гильденштедт. Речь о произведениях российских, способных к содержанию всегда выгодного превосходства в продаже в чужие края российских товаров пред покупкою иностранных, говоренная декабря 29 дня 1776 года, в публичном С.-Петербургской императорской

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ახლა რუსეთის იმპერიას, მათ შორის, წინასწარი საექსპედიციო შესწავლის საფუძველზე, უკვე გარკვეული ჰქონდა საკუთარი ინტერესები კავკასიაში.

დოკტორ იაკობ რაინეგსი⁹ „ერეკლეს კარზედ რუსთაგან კომისრათ დანიშნული საქართველოში“

გარდა ახალგაზრდა ნატურალისტ გიულდენშტედტისა, ერეკლე მეორეს მოუწია შეხვედრა, ზოგი ცნობით, პირადად პოტიომკინის წარმოგზავნილ გერმანელ მოგზაურ იაკობ რაინეგსთან. რაინეგსი დიდ დროს ატარებდა მეფესთან, ცხოვრობდა მის სასახლეში¹⁰ და გიულდენშტედტის კვლევით ჩანანერებთან ერთად, მისი ცნობებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის განსაზღვრაში. ეს იყო ევროპელთა მიერ საქართველოს შესწავლის პირველი მცდელობები. და ამ მცდელობათა შორის ცხადია მოინახებოდა ადგილი საქართველოსა და კავკასიის ეპიგრაფიკისათვისაც, როგორც ათასწლეულთა განმავლობაში გავლენის სფეროების მარკირების დოკუმენტისათვის. როგორ აღიქვამდა ამგვარ, ახალი ტიპის ინტერესს საქართველო? „[კათოლიკური ეკლესიის მისიისა და 1629 წლის ლექსიკონის გამოცემის] შემდეგ დროს, გერმანიის მოგზაურებმა საქართველოში მგზავრობა დაიწყეს და ამ დროიდან გერმანელთა ტომის მსწავლულთა და მოგზაურთა უფრო უკეთ მოჰკიდეს ხელი საქართველოს ერის და სამეფოს (გიულდენშტედტი ქართლ-კახეთის სამეფოში ჩამოდის 1770 წლის იანვარში, i.e. ფაქტობრივად ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოში) ცხოვრების შესწავლას, ვიდრე ამას სწავლობდნენ იტალიელნი და რომის ტახტის მისიონერები. გერმანელთა ტომის მსწავლულ მოგზაურებმა რომაელებს გადააჭარბეს. რომაელები საქართველოს ყურადღებას აპყრობდნენ მარტო ქრისტიანობის მხრით და ამის სიბრალულით, რასაც ყოველთვის თან სდევდა კათოლიკის სარწმუნოების გავრცელების სასარგებლო ცნება ქართველებში, გერმანელ მოგზაურთა და მსწავლულთა ცდა კი სულ სხვანაირ იქმნა დაწყობილი, მათ

Академии наук собрания, во время полувекового её юбилея // Академические известия на 1780 год. — ч. IV. — СПб., 1780. — С. 356.. — Цит. по: Вернадский В. И. Труды по истории науки в России / Сост. Бахракова М. С., Неаполитанская В. С., Фирсова Г. А.. — М.: Наука, 1988. — С. 229. — 404 с. — ISBN 5-02-003321-9.

⁹ ნამდვილი გვარია ელიხი, Christian Rudolf Elich - [რაინეგსი გერმანიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში](#); [რაინეგსი CERL თეზაურუსში](#), [რაინეგსი გერმანიის ციფრულ ბიბლიოთეკაში](#)

¹⁰ Reineggs: [Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus](#);

საქმეთ და საგნათ გახდა არა მარტოთ საქართველოს სამეფოს წყობილების გაცნობა და სხ.“ (ჭიჭინაძე, 1920). თავად ამ მკვლევრების აკადემიურ კარიერას განსაზღვრავდა კავკასიის შესახებ შექმნილი ნაშრომები.¹¹

XVIII საუკუნის დასასრულამდე მოგზაურობა კავკასიაში დაკავშირებული იყო დიდ სიძნელებთან, რუსეთის საიმპერატორო კარისა თუ მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაფინანსებულ ამ ექსპედიციებს, ცხადია, დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა და წინასწარ საფეხურს წარმოადგენდა კავკასიის ყოველგვარი რესურსის მომავალი ათვისებისათვის. ასეთი იყო გიულდენშტედტის ექსპედიცია, ამ მიზნითვე იყენებდა საიმპერატორო კარი რაინეგის ცნობებს.

ანექსიის შემდეგ სურათი იცვლება, იზრდება ევროპელი მოგზაურების რაოდენობა კავკასიაში, იწყება კვლევითი სამუშაოები კავკასიის კოლონიური ექსპლუატაციის მიზნით¹².

საფრანგეთის სააზიო საზოგადოება და ლურსმული წარწერები

ევროპელი მეცნიერები XIX საუკუნის დამდეგს ინტერესდებიან ლურსმული წარწერებით. [ალევე, 1827 წელს, იმ დროისათვის რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, ვანის მიდამოებში აღმოჩნდა ურარტული ლურსმული წარწერები, რომელთა შესასწავლადაც საფრანგეთის სააზიო საზოგადოებამ და ანტუან-ჟან სან-მარტინმა რეკომენდაცია გაუწიეს საფრანგეთის მთავრობის წინაშე შულცს, რათა იგი ვანის ტბის მიდამოებში ექსპედიციით გაეგზავნათ. შულცმა დიდი სამუშაო ჩაატარა. მან გადმოიწერა ვანის მიდამოებში დაცული ურარტული ლურსმული წარწერები (მათ შორის, არგიშთი I-ის ვრცელი წარწერა). მიუხედავად იმისა, რომ შულცს წარმოდგენა არ ჰქონდა ლურსმული დამწერლობის სისტემაზე, მისი ასლები ძალზე ზუსტი აღმოჩნდა¹³.

¹¹ 1786 წელს რანეგსი გოტინგენის სამეცნიერო აკადემიის წევრად აირჩიეს (Holger Krahnke: The members of the Academy of Sciences at Göttingen 1751-2001; Vandenhoeck & Ruprecht, Göttingen 2001, p. 199.); 1792 წელს კი ლეოპოლდინას (Deutsche Akademie der Naturforscher Leopoldina) წევრად.

¹² სწორედ ამ მეორე ტალღის ექსპედიტორთა შორისაა კარლ ედუარდ ფონ აიხვალდი, ბერლინის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ვილნოს უნივერსიტეტის დოქტორი და ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ექსპედიცია კავკასიაში - 1816-1825 წლებში მოეწყო ყაზანის უნივერსიტეტის ორგანიზებით. ექსპედიციის შედეგად შეგროვებულ მასალასა და მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიცა: *Reise auf dem Kaspischen Meere und in den Caucasus*, 2 vols. (Stuttgart and Tübingen, 1834-1838).

¹³ ურარტული ლურსმული წარწერების ასლები გადმოიღეს სხვა მკვლევრებმაც (რაულინსონმა, მიულბახმა, მოლტკემ)

შულცმა 1827 წელს ერასისა და ირანის საზღვარზე აღმოაჩინა კელიშინის (ქურთ. ცისფერი ქვა) ძვ. ქელთალრიცხვის 800 წლით დათარიღებული ასირიულ-ურარტული სტელა, წარწერა მიხაკო წერეთელმა ამოიკითხა და 1933 წელს გამოსცა (Tsereteli 1933). 1829 წელს, შულცის მკვლევლობის შემდეგ, მის ჩანაწერებში ვანის ციხის გარშემო აღმოჩენილი 42 წარწერის ასლი იყო დოკუმენტირებული, მონაცემები 1840 წელს პარიზში გამოქვეყნდა. (Schulz, Friedrich. 1840)

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქმე ძირითადად მასალის უბრალო შეგროვებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ ასურული წარწერების ამოკითხვის შემდეგ გახდა შესაძლებელი ურარტული წარწერების ამოკითხვა.

1882 სეისმა „ბრიტანეთის სააზიო საზოგადოების“ (Royal Asiatic Society (RAS)) ჟურნალში (The Journal of the Royal Asiatic Society (JRAS)) გამოაქვეყნა ურარტული წარწერებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა, რომელიც მოიცავდა იმ დროისათვის ცნობილ ყველა წარწერასა და მოკლე გრამატიკულ მიმოხილვას, ამის შემდეგ ურარტული წარწერებით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქანის მიდამოებში აღმოჩენილმა ურარტულმა წარწერებმა თბილისში, კავკასიის მუზეუმში დაიდო ბინა. ქამაც, თავისმხრივ, განაპირობა უკვე არა რუსეთის იმპერიის დაფინანსებული ახალგაზრდა მკვლევარების, არამედ ისეთი მეცნიერების ჩამოსვლა საქართველოში, როგორც იყო კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი.

კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი და ეპიგრაფიკა საქართველოში

ოსმალეთის იმპერიისაგან რუსეთის მიერ ახლადმოპოვებულ ტერიტორიებზე 1898 წლამდე შენარჩუნებული იყო სამხედრო მდგომარეობა და შესაბამისად, ექსპედიციის წარმოება (თუკი ის უმარავი ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული პრობლემის გადალახვის შემდეგ მაინც შედგებოდა) კვლავ სახიფათო საქმედ რჩებოდა.

ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის მოგზაურობა კავკასიაში შესაძლებელი გახდა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის თეოდორ მომზენის მიერ ბერლინის მეცნიერებათა აკადემიისათვის სარეკომენდაციო წერილით მიმართვის საფუძველზე, მომზენი წერდა, რომ ექსპედიცია შედგებოდა, თუკი ადგილობრივი ქურთებისგან ნებართვას მიირებდნენ. თეოდორ მომზენს, რომელმაც ბერლინის აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური კლასის მდივნობისას, გარდა ფუნდამენტური ეპიგრაფიკული კორპუსის, Corpus Inscriptionum Latinarum-ის

გამოცემისა, უმარავი სამეცნიერო პროექტის ორგანიზება მოახერხა, დიდი გავლენა ჰქონდა ლემან-ჰაუპტის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და კერძოდ, მის ეპიგრაფიკულ მოგზაურობაზე კავკასიაში.

ვანის ურარტული წარწერების კვალს კავკასიაში ჩამოყოლილი კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი წერს: „პროვინციული დაყოფის მიხედვით, რუსეთის არმენია ეკუთვნის კავკასიის გენერალგუბერნიას ტრანსკავკასიურ მთავრობებს ელიზაბეთპოლისა და ნანილობრივ ტფილისისა, მაშინ როდესაც ყარსის რეგიონი, რომელიც ასევე სომხეთის ნაწილია და თურქეთმა რუსეთს 1877 წლის ომის დასასრულს გადასცა, ჯერ კიდევ სამხედრო ადმინისტრაციის ქვეშაა“.

□არეკომენდაციო წერილის მიღების შემდეგ, ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი სტამბოლში ჩადის და ახლა აქ ელის მგზავრობისთვის საჭირო დოკუმენტებს:

„მისმა უდიდებულესობამ, იმპერატორმა გვიბოძა ნებართვა და დაფინანსება სარეზერვო ფონდიდან, იმ პირობით, რომ მოგზაურობა არ დაიწყებოდა, სანამ გერმანიის საელჩო კონსტანტინეპოლში არ გასცემდა თანხმობას, მიმდინარე არეულობების გამო. ადრიან 1898 წელს, ყველა პირობა საბოლოოდ შესრულდა. პასპორტი გაიცა, რუსეთის, სპარსეთის და თურქეთის მთავრობები ინფორმირებულნი იყვნენ და ჩვენ გვეცნობა, რომ თურქეთის ვილაიეთებში მგზავრობისათვის საჭირო ინდივიდუალური დოკუმენტები [\(ტექსტურე\)](#) გაგზავნილი იყო ტფილისში, გერმანიის საკონსულოში. ამ ორი მონაკვეთიდანაც ცხადია, რომ ლურსმული წარწერებით დაინტერესებული მკვლევარი, რომლის ძირითადი კვლევითი მიმართულება ბიბლიის არქეოლოგია გახლდათ, გვერდს ვერ აუვლიდა თბილისს არამხოლოდ იმიტომ, რომ აქ იყო რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის მუზეუმს უკვე მოეყარა თავი ლურსმული წარწერებისათვის. ლემან-ჰაუპტი თავის მოგონებებში აღწერს შესანიშნავ სურათს კავკასიის მუზეუმში მუშაობისა: „დოქტორ რადეს, მუზეუმის შემქმნელსა და დირექტორს, სტელა მუზეუმის ბაღში, შუშის ჩარჩოში აქვს მოთავსებული ქარისა და უამინდობისაგან დასაცავად...¹⁴ დღემდე სიამოვნებით ვიგონებ საათებს, რომელიც ტფილისის მუზეუმის ეზოში 1898 წლის გაზაფხულსა და 1899 წლის ზაფხულში მუშაობაში გავატარე... იქაური ფერები და

¹⁴ Dr. Radde, der Schöpfer und Direktor des Museums, die in dessen Garten aufgestellte Stele durch Glas und Rahmen vor Wind und Wetter schützen lassen

სურნელი აყვავებული ვარდისა, ქედნების ღულუნი ვოლიერებში, უცვლელად შემორჩა ჩემს მესხიერებას... რა ხშირად ვიგონებდი მოგზაურობისას ჩემს სამუშაო სივრცეს ტფილისის მუზეუმში, როცა ბნელი ეკლესიების კედლებიდან და კლდეებიდან მიწვედა ასლების ალება.“

კავკასიის მუზეუმისაგან ლურსმული ნარწერები მემკვიდრეობით მიიღო საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში დაცულია სხვადასხვა ეპოქის 22 ნარწერა, ურარტული ღვთაების (ან მეფის) ერთი ქანდაკება და ერთი ნიქსვილის ქვა. ამ 22 ნარწერიდან, სამი – იშფუნის ეპოქას ეკუთვნის (817 BC); თოთხმეტი – მენუას ხანას (810-785 BC); თითო ნარწერითაა წარმოდგენილი არგიშთი პირველი (780 BC), სარდური, არგიშთის ძე (760/765-733 BC) და რუსა პირველი (733-714 BC); უცნობი მეფის (სავარაუდოდ resp. გიორგი წერეთელი არგიშთი პირველის) ორი ფრაგმენტი და ერთი ნატყუარი ნარწერა.¹⁵

1. წვასტანი. იშფუნი a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო
2. წვასტანი. იშფუნი a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო
3. წვასტანი. იშფუნი a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო
4. ვანი. მენუა a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო
5. ვანი. მენუა a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო
6. ღედი-ქილისა (ვარაგ-ქილისა). მენუა a. დასაწყისი; b. შუა ნაწილი; c. ბოლო

¹⁵ თბილისში, როგორც ჩანს, სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად თავს იყრიდა ნაყალბევი არქეოლოგიური მასალაც, კვლავ ლემან-ჰაუპტის საექსპედიციო ჩანაწერების მიხედვით: „...აგურზე შესრულებული ამ შუმერული ნარწერების ნაწილი უკვე ცნობილი იყო, რომელთაგან ზოგი ლუვრში, ზოგი კი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ერთი სხვა ეგზემპლარი მე თავად შევიძინე ადგილზე, ხორსაბადში. მიუხედავად ამისა, ტფილისური [ნარწერის] ტექსტი ღირებულია, რადგანაც მასში დაცულია ნაკითხვა ჯერჯერობით ძალზედ საეჭვო ადგილისა. სავარაუდოა, რომ კავკასიის მუსლიმი მცხოვრები ბაბილონში, ქარბალაში (რომელიც შიიტური აღმსარებლობის ადამიანისათვის უწმინდესი ადგილია) მდებარე ალის საფლავზე პილიგრიმობისას გადააწყდა შუამდინარულ აგურს, რომელმაც შემდეგ ბინდა ტფილისის მუზეუმში დაიდო. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გამოგვეკვია, რომ სავარაუდოდ, ქარბალადან სწორედ ამ გზით ჩამოაღწია ამ და სხვა საეჭვო ღირებულების „სიძველეებმა“ ტფილისში. სასტუმრო „ლონდონის“ კიბის კედლებზე გამოფენილი იყო სიძველეთა ფოტოები, მათ შორის ლურსმული ნარწერებისა: მოუქნელი ყალბი ასლები, როგორც მცოდნე თვალი ერთი შეხედვით შეატყობდა. სხვა მხრივ აუცილებლად სანახავ სიძველეთა ამ კოლექციის თვალიერებისას, რომელიც ფოტოგრაფ როინოვს შეეკრიბა, მათ ორიგინალებსაც გადავანყვდი და დაჟინებულ შეკითხვებზე პასუხად მომინია გულისტკივილით მეცნობებინა [როინაშვილსათვის], რომ ნდობითა და საკმაოდ დიდ ფასად შეესყიდული ეს „სიძველეები“, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ეჭვები „სიძველეთა“ ავთენტურობის შესახებ, უკვე გამოეთქვათ მასთან, მაგრამ ეს ეჭვები ისევ სხვა არქეოლოგებს გაეფანტათ. [სიძველეთა] პოვნის ადგილად, მან ქარბალა დაასახელა. უსიამოვნო ამბავი კი თავშეკავებით მიიღო. მიუხედავად ამისა, მეორე დღით, როდესაც ცნობა მოვიდა, რომ ბატონი როინოვი ღამით გულის შეტევისაგან გარდაცვლილიყო, ძალიან შევშფოთდი. ლურსმული ნარწერის ძიება, რომლის შესახებაც ცნობებს იძლეოდნენ ჰივერნატი და მიულერ-სიმონის ნიგნში "Du Caucase au Golfe Persique", ექსპედიციისა და ტფილისში პირველი დიდი ექსკურსიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა.“

7. ვან-კალია. მენუა;
8. ანზაფი. მენუა. წინა მხარე (თორმეტსტრიქონიანი წარწერა), მარჯვენა მხარე (ექვსტრიქონიანი წარწერა)
9. მუში. მენუა
10. ზივინი. მენუა
11. ზივინი. მენუა
12. სალექუ. მენუა
13. ვანი. კურშუნ-ჯამი
14. სილექუ. მენუა
15. სილექუ და კარმირავორ-ვანქ. მენუა დასაწყისი
16. სილექუ და კარმირავორ-ვანქ. მენუა. შუა ნაწილი
17. სილექუ და კარმირავორ-ვანქ. მენუა. ბოლო
18. სარაყამიში. არგიშთი
19. ვანი, არგიშთი (?) ფრაგმენტი 1
20. ვანი, არგიშთი (?) ფრაგმენტი 2
21. ადამხანი. სარდური
22. ვანი. აიგისტანი. რუსა
23. თუთანი, საძირკველში ჩატანებული ნატყუარი წარწერა
24. ვანი. ღვთაების (?) ქანდაკება

შინაარსის მიხედვით გვხვდება სამშენებლო წარწერები (8); სამხედრო ლაშქრობისა და დაპყრობის აღმნიშვნელი წარწერები და საკულტო წარწერები (ყველაზე მცირე ნაწილი).

„ქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ 1939 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მარის სახელობის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტური ინსტიტუტმა გიორგი წერეთლის ავტორობით გამოსცა (რედ. ქიმონ ჯანაშია). გამოცემაში, გარდა უშუალოდ წარწერის ტექსტებისა, მოცემულია ძეგლების აღწერილობა, საძიებლები, სატრანსკრიფციო ნიშანთა ნუსხა, ტაბულები და ფოტოპირები. აგულისხმობს აქცენტები, რომელსაც ავტორი წინასიტყვაობაში სვამს: „რეკოლუციამდე ეს წარწერები უყურადღებოდ ენყო საქართველოს მუზეუმის სარდაფებში და მაშინ, რა თქმა უნდა, არავის უფიქრია შეესწავლა ძველი წინააზიური სამყაროს ამ ერთ-ერთი უძლიერესი ხალხის ეს

მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული მასალა. [ხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, იმ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებასთან დაკავშირებით, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება წარსულის კულტურულ ღირებულებათა მეცნიერული შესწავლის მიმართ¹⁶, შეიქმნა ჩვენში ყველა პირობა ამ ძეგლების დეტალურად დამუშავებისა და, ამასთან ერთად, ძველი ვანის ენისა და კულტურის შესწავლისათვის.“ საბჭოთა მკითხველისათვის განკუთვნილ ამ სენტიმენტს მოსდევს ცნობა, რომლის მიხედვითაც ცხადია, გიორგი წერეთლისათვის ცნობილი იყო ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის ექსპედიციის და ძეგლების უკვე არსებული გამოცემების შესახებ: „...ზოგიერთი წარწერა გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერაა ნაპოვნი 1898-1899 წწ. ამ წარწერებიდან იმ თავითვე გადაღებულ იქნა ფოტოგრაფიები და ესტამპაჟები, რომლებიც შემდეგ ClCh¹⁷-ისათვის გამოიყენეს.“ (წერეთელი 1939, შესავალი)

სააზიო საზოგადოებები¹⁸ და Georgica

ქრონოლოგიური სააზიო საზოგადოებებისა და შემდგომში ორიენტალისტიკის საფუძვლად იქცა 1795 წელს პარიზში "École Spéciale"-ს დაარსება, რომელიც აზიის ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოებისათვის მთარგმნელებსა და თარჯიმნებს ამზადებდა. ამას მოჰყვა 1818 წელს კალკუტაში „სააზიო საზოგადოების“ დაარსება, "École Spéciale"-ს სამეცნიერო საბჭო მათთან თანამშრომლობით აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერულ დარგად ქცევას ისახავდა მიზნად. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ Collège de France-ის პროფესორები, რომლებიც აქ მომავალ ორიენტალისტებს ასწავლიდნენ, მათ შორის

¹⁶ ქრეთელი ციტირებს შესტაკოვს, „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსს“, (ქართული თარგმანი ტფილისი, 1937): „უძველესი სახელმწიფოები ჩვენს ქვეყანაში“: „ყველაზე ძველი სახელმწიფოები ჩვენს ქვეყანაში ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილში აღმოცენდა“

¹⁷ Corpus Inscriptionum Chaldicarum, Berlin 1928, 1935

¹⁸ ევროპის სააზიო საზოგადოებების ქართველი წევრები იყვნენ:

თეიმურაზ ბაგრატიონი - პარიზის სააზიო საზოგადოება

ანდრია გუგუშვილი - დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოება, ნამდვილი წევრი

("There were rumours of Soviet countermeasures against the Allies in the Near East as well. On April 12 Laurence Collier met with Andria Gugushvili of the Paris-based Caucasian Committee, which was tied to the anti-Soviet organisation Prometheus..." Operation Pike: Britain Versus the Soviet Union, 1939-1941 By Patrick R. Osborn pp. 168)

ექვთიმე თაყაიშვილი - პარიზის ნუმისმატთა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ

საფრანგეთის სააზიო საზოგადოების (1925) ნამდვილი წევრი

გიორგი წერეთელი - დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოება, საპატიო წევრი (1964-)

მომავალ ქართველოლოგს, მარი ბროსეს, შაპოლიონს, არმენოლოგ სენ-მარტენს, სინოლოგ ს. დე სასსა და სხვებს. საბოლოოდ, 1822 წელს პარიზში დაარსებულმა სააზიო საზოგადოებამ თავი მოუყარა მთელი ევროპის ორიენტალისტებს. სააზიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის „სააზიო მუზეუმთან“. პეტერბურგის სააზიო მუზეუმი ერთ-ერთი პირველი იყო ევროპაში. მან 112 წელს (118-1930) იარსება და საბოლოოდ, მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტს შეუერთდა.

პარიზის სააზიო საზოგადოებასთან ერთად დაარსდა პერიოდული ჟურნალი "Journal Asiatique", რომლის რედაქტორიც იყო საზოგადოების დამაარსებელი არმენოლოგი ა. ჟ. სენ-მარტენი. ჟურნალში იბეჭდებოდა მასალა აზიის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს სიძველეთა შესახებ. ცნობები ეკუთვოდათ: პოლკოვნიკ როტიეს, ი. კლაპროთს (orientalist or an "Asiatologist"), მ. შულცს და სხვებს, პარიზში გამოიცა კლაპროთის „მოგზაურობა საქართველოში“.

1822-23 წლებში "Journal Asiatique"-ში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მარი ბროსეს არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ნაშრომები. ბროსეს მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება სააზიო საზოგადოების მუშაობას, მისი ყველა ნაშრომი მუდმივად იბეჭდება ჟურნალში, საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის შემდეგ კი ბროსე კურირებს კავკასიის რეგიონს, წარმართავს კორესპონდენციებს საქართველოს სიძველეთა შესახებ.

1825 წელს საფრანგეთის ორიენტალისტთა საზოგადოებამ „სააზიო საზოგადოების“ ნამდვილ წევრად აირჩია პირველი ფრანგი ქართველოლოგი, მარი ბროსე. მას საკვლევად განუსაზღვრეს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ისტორიიდან და სიძველეთმცოდნეობიდან. სააზიო საზოგადოების ჟურნალში იბეჭდება მარი ბროსეს გამოკვლევა ქართული პოეზიის შესახებ, აღმოსავლური ენების ინსტიტუტში იგი ეცადა ქართული ენის კათედრის დაარსებას, თუმცა უშედეგოდ.

1837 წელს მარი ბროსემ¹⁹ გამოსცა დიუბუა დე მონპერეს მიერ კავკასიაში შეკრებილი საექსპედიციო მასალების ნაწილი, 1840 წელს კი მთლიანად გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული ეპიგრაფიკული მასალა. საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ევროპაში და რუსეთის იმპერიაში იმ დროს ძალიან ცოტა იყო ცნობილი. დოსითეოს პატრიარქის „იერუსალიმის ისტორიაში“ იხსენიებოდა მოქვის ეკლესიის ბერძნული წარწერები, გიულდენშტედტს მოჰყავდა რამდენიმე ქართული წარწერა (გირშელის ტაძრისა სტეფანწმინდაში, გრემის, ახტალის, მცხეთის და ქუთაისის (Guldenstadt 1787, 1791)), რამდენიმე წარწერას მკითხველი იპოვიდა ჭიჭიანისა და კლაპროთის ნაშრომებში. გამბას მოეპოვებოდა ცნობა გელათისა და მცხეთის წარწერებზე, ხოლო გელათის არაბული წარწერა გამოქვეყნებული ჰქონდა ხ. ფრენს, თავად ბროსემ პარიზში გამოაქვეყნა ნუზალის და ჭულუხევის წარწერები – ამით ცნობები იმუამად ცნობილ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე ამოიწურება. (ხანთაძე 1966) ბროსეს სისტემატურად აწვდიდნენ ქართული წარწერების გადმონაწერებს, მონახაზებს, ზოგჯერ გაშიფრულ ტექსტებს: თეიმურაზ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი. დ. მელვინეთუხუცესიშვილი, რ. ერისთავი, საქართველოს ეგზარქოსი ევგენი (ბაჟანოვი), ცნობილი ნუმისმატი და საქართველოს სიძველეთა შემკრები ბართლომეი, ნერსეს სარგისიანი, არქიტექტორები ივანე მუსილოვი და აბრამ ნოროვი.

ბროსეს წყალობით, პეტერბურგის აზიური მუზეუმის ქართულ ფონდში გაჩნდა ქართული ეპიგრაფიკული მასალა. მას ჯერ ნიკოლოზ ქუთათელაძემ გაუგზავნა იმერეთში დაცული საფლავის ქვები, ხატები და სხვა ნივთები, შემდეგ ასეთივე მასალა მიიღო ბროსემ პლატონ იოსელიანისაგან. ასზე მეტი წარწერა მიიღო მუზეუმმა საქართველოს ეგზარქოსი ევგენისაგან. ბროსემ გამოქვეყნა 50-მდე წარწერა, რომელთა უმრავლესობა დიუბუას მიერ იყო შეკრებილი, ბროსემ ისინი შეავსო ნიკო ქუთათელაძის, მ. ბარათაშვილისა და სხვა პირებისაგან მიღებული მასალებით, ამ წარწერებს შორის იყო: გელათისა და ბაგრატის, კაცხის, ნიკორწმინდის, ჯრუჭის, თამარციხის, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, მარტვილის, ხოფის, შემოქმედის, გორის, უფლისციხის, ატენის, მცხეთის და ქვემო ქართლის

¹⁹ მარი ბროსემ პირველად 1825 წელს სამეცნიერო საზოგადოების (პარიზის „აზიური საზოგადოება“) ყურადღება სინოლოგიური შრომებით მიიპყრო, თუმცა ბოლხოტინოვის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ საქართველოში დაინტერესდა, დაიწყო ქართულის შესწავლა, გაეცნო გრამატიკულ ლიტერატურას (მაჯიო, ფატერი, ფირალოვი) გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, დაიწყო მუშაობა ბაქარის ბიბლიაზე (1743).

ეპიგრაფიკული ძეგლები. ბროსემ გაშიფრა და თარგმნა ეს წარწერები. წარწერები იძლეოდნენ რიგი მოვლენების ზუსტი დათარიღების საშუალებას, შეიცავდნენ ცნობებს ზოგიერთი უცნობი პირის შესახებ. იგი ასევე ყურადღებას აქცევდა წარწერების თავისებურებებს, ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა დიუბუა დე მონპერეს ჩანახატებს, არ მსჯელობდა წარწერათა სიძველის შესახებ, მხოლოდ ყურადღებას აქცევდა ასოთა მოხაზულობის თავისებურებებს: მაგალითად, ლომისის წარწერის ასოების კუთხოვანებას, თამარცხისის წარწერებს ბროსეს მიხედვით „ჩიტისმაგვარი“ მოხაზულობა ჰქონდათ, ხოლო ჯრუჭისა და ხერთვისის წარწერები შერეული ხელით იყო შესრულებული. (ხანთაძე 1966)

XIX ს-ის 30-50-იანი წლებში სამეგრელოს დიდმა მთავარმა დავით დადიანმა სამეგრელოს და აფხაზეთის 14 ეკლესიისა და მონასტრის ხატებიდან გადაღებული 40-ზე მეტი ვრცელი ქართული ჭედური წარწერის პირი გადასცა მ. ბროსეს, რომელმაც ისინი სათანადოდ გამოიყენა.²⁰

„მრავალი წესი, მეთოდი და ხერხი, რომლითაც მ. ბროსემ პირველმა წამოიწყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება, შესწავლა და გამოქვეყნება ამჟამადაც არა თუ შეწყნარებულია და მისაღები, არამედ ასეთი სახის სამუშაოს წარმატებით შესრულების ერთადერთ სწორ გზად არის მიჩნეული“. (სილოგავა, მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი 1986) ყურადღება უნდა გავამახვილოთ მარი ბროსეს მიერ გამოცემის ტექნიკური დახვეწისათვის განეულ ღვაწლზეც. იმხანად სათანადო შრიფტების უქონლობის გამო ქართული მასალები იბეჭდებოდა ძველი ხუცური შრიფტით²¹. ბროსემ 1837 წლის 28 ივნისს, როდესაც ის მხოლოდ მეორედ ესწრებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომას, მოითხოვა ქართული მხედრული შრიფტის დაამზადება. შრიფტი დაამზადეს და 1838 წელს უკვე გამოყენებოდა, იმავე წელს აკადემიამ ბროსეს ინიციატივითა და მეთვალყურეობით სომხური შრიფტიც შექმნა. (ხანთაძე 1966) ქართულის იმ მატრიცების მიხედვით, რომელიც ბროსემ თეიმურაზ ბატონიშვილის შეკვეთით და მის მიერვე მიწოდებული ნიმუშების საფუძველზე 1837 წელს პარიზში დაამზადებინა ფრანგ მხატვარსა

²⁰ ეს მასალა ამჟამად დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის პეტერბურგის განყოფილებაში, მარი ბროსეს არქივში – Н 29 (G39, H26): Р. Орбели Грузинские Рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. II, 1956 с. 89-90.

²¹ ხუცური შრიფტი მე-18 საუკუნეში თეიმურაზ მეორის რუსეთში ყოფნის დროს ჩამოისხა.

და გრავიორს დელაკონს (გორდეზიანი 1965) მივიღეთ ქართული შრიფტი „აკადემიური“, რომლითაც იწყებოდა XIX საუკუნეში ყველა ქართული წიგნი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ე.წ. ვენური შრიფტის ჩამოსხმამდე 1866 წელს. (სილოგავა, მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი 1986)

1830 წლის რევოლუციის დასაწყისისათვის ბროსე მზად იყო საქართველოში მისი დასაწყებად, თუმცა გარემოებების ცვლილებამ პროექტი ჩაშალა, რასაც რამდენიმეწლიანი უიმედობა მოჰყვა, ბროსეს ამ დროისათვის სამი შვილი ჰყავს და ტიპოგრაფიაში უნეგს მუშაობა. 1834 წელს განათლების მინისტრი ფრანსუა გიზო, თავადაც ცნობილი ისტორიკოსი, დაინტერესდა ბროსეს ქართველოლოგიური შრომებით და შესთავაზა სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზება საქართველოში, თუმცა ამჯერად წინააღმდეგობა აღმოუჩინდა რუსული ხელისუფლება იქცა, რომელმაც თეიმურაზ ბატონიშვილთან კავშირის გამო ბროსეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობაზე მიიტანა ეჭვი და ქვეყანაში შეშვებაზე უარი უთხრა.

პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტმა, გრაფმა სერგეი უვაროვმა, მას შემდეგ, რაც აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელმძღვანელმა ბერნარ შარმუამ დატოვა თანამდებობა, მარი ბროსე პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში სომხური და ქართული ლიტერატურის სპეციალისტად მიიწვია. ბროსე 1837 წლის ივნისში კი ოჯახთან ერთად ჩავიდა პეტერბურგში (ცხოვრობდა თეიმურაზ ბატონიშვილს მეზობლად და ჰქონდა მასთან მიმოწერა) (ბროსე 2016).

1838 წელს უვაროვის განკარგულებით ბროსე ჩადის მოსკოვში, რათა გამოიკვლიოს იქაური ქართული სათვისტომოს მფლობელობაში არსებული სიძველეები. უვაროვი ამ ექსპედიციის შესახებ წერს თავის რაპორტში იმპერატორისადმი: “Описал Броссе 85 надписей на гробницах грузинских князей и вельмож, прибывших в Россию при Петре Великом. <...> Нашёл 13 рукописей на пергаменте очень древних и хорошо сбереженных. <...> Но всего важнее манускрипт известного творения Вахушта, которое содержит в себе географическое описание и самую полную историю Грузии по 1755 год“.

ბროსეს პეტერბურგში გადასვლით ევროპული ქართველოლოგიის ცენტრმა რუსეთის იმპერიაში გადაინაცვლა. ასე შეხვდა ერთმანეთს პეტერბურგში ქართულ სიძველეთა შესწავლის ევროპული და ქართული გზები.

პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ

1914 წელს, როდესაც ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შეუდგა, უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა გამოკვლევაზე – „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“. ილია აბულაძის ცნობით, ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნილებით, ნაშრომი შევსებული და დასრულებული სახით 1926 წელს თბილისში გამოიცა: „ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებლური ეს ნაშრომი, ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნილებით წარმოიშვა.“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996) 1926 წლის გამოცემას წინ უძღვის 1925 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წინასიტყვაობა: „წინამდებარე გამოკვლევა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წელს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევსებული და დამთავრებული მაქვს 1918-1921 წწ. ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში სხვათა შორის ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996) (ჯავახიშვილი 1926) აღნიშნული ნაშრომი შევიდა ჯავახიშვილის თხზულებათა მეცხრე ტომში, განსაკუთრებით საინტერესოა მისი შესავალი მიმოხილვა, სადაც ცხადად ჩანს თუ რამდენად სრულყოფილი იყო ივანე ჯავახიშვილის ცოდნა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული გამოცემებისა და სტანდარტებისა, აქვეა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ქართული გამოცემების აღწერა და მათი ნაკლოვანებების შეფასებაც.

ეპიგრაფიკის ისტორიის მიმოხილვას ივანე ჯავახიშვილი იწყებს 1681 წელს გამოცემული De re diplomatica-თი, ფრანგი ბენედიქტელი ბერისა და მეცნიერის ეს ნაშრომი პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის ფუძემდებლურ ნაშრომად ითვლება. მაბილონმა ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთის მეფის, ლუი XV-ის დაფინანსება მიიღო და სამეფო ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერებისა და შუასაუკუნეების დოკუმენტების შეკრების მიზნით ფლანდრიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში და იტალიაში იმოგზაურა. მაბილონი გახდა

ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი საფრანგეთის წარწერებისა და მხატვრული სიტყვიერების აკადემიისა (Académie des Inscriptions et Belles-Lettres).

ივ. ჯავახიშვილი თავის მიმოხილვას აგრძელებს კიდევ ერთი ბენედიქტელი ბერის, მონფოკონის მიერ 1708 წელს გამოქვეყნებული შრომით – ბერძნული პალეოგრაფია, ანუ ასოთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ (Bernard de Montfaucon, 1708 “Paleographia graeca sive de ortu et progressu litterarum”). თავისი შრომებით მონფოკონი არქეოლოგიისა და პალეოგრაფიის ფუძემდებელი გახდა ევროპაში.

ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ეპიგრაფიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ორი კვლევითი ორგანიზაციის დაარსებაზე, ესაა საფრანგეთის სამეფო ქარტიის სკოლა (École royale des chartes, 1821) და ავსტრიის ისტორიის კვლევის ინსტიტუტი (Institut für Österreichische Geschichtsforschung, 1854). აღსანიშნავია, რომ დღეს ამ ორივე დაწესებულების მკვლევრები ჩართულები არიან ციფრული ეპიგრაფიკის სტანდარტის განვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილი იცნობს მეცხრამეტე საუკუნის ყველა მნიშვნელოვან გამოცემას პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის შესახებ: de Wailly “Elements de paleographie” 1838; A. Chassants “Paléographie des chartes et des manuscrits du XI au XVII siècle” 1839; J.B. Silvestre – Paleographie universelle. 1839-41; Dr. W. Larfeld Griechische Epigraphik, 3. Aufl. 1914.

მიმოხილვაში შესულია ქართული ეპიგრაფიკის ქრონოლოგია, 1881 წელს თბილისში დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით გაიმართული არქეოლოგთა მეხუთე ყრილობიდან²² მოყოლებული 1902 წლის ნიკო მარი ათონური ხელნაწერების გამოცემით დასრულებული, (Агиографические Материалы по рукописям Ивера 1902)

მიუხედავად გამოცემების ნაკლებობისა, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს მათ მნიშვნელობას საერთოდ ეპიგრაფიკული გამოცემების სიმწირის ფონზე, ასევე გამოცემებზე თან დართული ტაბულებისა და თვალსაჩინოებების როლზე საუბრისას იხსენიებს: მოსე ჯანაშვილის ნაშრომს “Царица Тамара”, რომელიც 1900 წელს გამოიცა და ოთხი ტაბულა ერთვოდა, დიუბუა დე მონპერეს გამოცემებსა და მათზე დართულ სამოცამდე ტაბულას,

²² „შრომები გამოქვეყნდა 1887 წელს, იმ დროისათვის ეს ტაბულა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო იყო, რომ როგორც პალეოგრაფიულ ნიმუშებს, ისევე ამ ტაბულას შესაფერისი გამოკვლევა არ უძღოდა წინ და ეს ძვირფასი მასალები გამოუყენებელი დარჩა“.

დომიტრი ბაქრაძის 1878 წელს გამოცემულ არქეოლოგიურ ატლასს,²³ (Бакрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г., по поручению Академии наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Артанудж 1880) (Бакрадзе, Археологическое путешествие по Гური и Адчаре 1878). დომიტრი ბაქრაძის მსგავსად, პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის მოხსენების წარსადგენად გამოსცა ივ. როსტომაშვილმა Ахалкалакский уезд в археологическом отношении (с ключом к чтению надписей древней Джавахетии и картой) (Ростомов, И. П. 1898) ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნებით.²⁴

საბოლოოდ, ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის დაარსებამდე, ქართული წარწერების გამოქვეყნებისათვის ყოველდღიური გაზეთის გარდა სხვა არავითარი ორგანო არ არსებობდა და „მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ეპიგრაფიკული მასალაც არის გაბნეული“ (ჯავახიშვილი 1949, 22).

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ, 20-იანი წლებიდან კულტურის ძეგლების შეკრება, დაცვა და გამოცემა სახელმწიფოს ხელში გადადის. 20-იან წლებში ქართველოლოგიის ორი ცენტრი არსებობდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1923-1927 წლებში გ. ბოჭორიძემ გამოავლინა VII-XI საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები, მათ შორის წარწერა ქვაჯვარის კვარცხლბეკზე სოფელ წყისედან. 1936 წლიდან ბოლნისში, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა X-VIII საუკუნეების ათასზე მეტი ლაპიდარული წარწერა, მათ შორის ბოლნისის თარიღიანი საამშენებლო წარწერა. მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალა შეისწავლა და გამოაქვეყნა ლ. მუსხელიშვილმა. (მუსხელიშვილი 1938) 1936 წელს დაარსდა საქართველოს კულტურის კვლევის კიდევ ერთი ცენტრი - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი), რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა ქართველოლოგიური კვლევის სამი ინსტიტუტი: ისტორიის,

²³ „მართალია პირები ხელით იყო გადახატული, მაგრამ ქართული ეპიგრაფიკული დამწერლობის დაახლოებით წარმოდგენა მკითხველს მაინც შეეძლო“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996)

²⁴ „ფოტოსურათები იმდენად ბუნდოვანია, რომ ძნელი გასარჩევია და წარწერების პალეოგრაფიული პირიც ხელითაა ნახატი და ზედმიწევნილობა დაცული არ არის“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996)

ენისა და ქართული ხელოვნების ისტორიის. ენიმიკის მომბეში იბეჭდებოდა მათ შორის ეპიგრაფიკული კვლევებიც, მაგალითად აქ გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის წერილი არმაზის ბილინგვის შესახებ, რომელიც 1943 წელს საერთაშორისო ჟურნალში, Journal of Roman Studies-შიც დაიბეჭდა (აღსანიშნავია, რომ ენიმიკის მოამბეში გამოქვეყნებულ წერილებს ერთვოდა აბსტრაქტები ინგლისურ ენაზე, შესანიშნავად ნათარგმნი არიანე ჭანტურიას მიერ).

1958 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები წარმართავდნენ მუშაობას ქართველოლოგიის ყველა დარგში, მათ შორის ეპიგრაფიკაშიც. 60-70-იან წლებში ეპიგრაფიკული მასალის გამოვლენისა და კვლევის საქმე მნიშვნელოვნად წანია წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ.

აღსანიშნავია, რომ ეს მრავალრიცხოვანი გამოცემები, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოცემას თითზე ჩამოსათვლელი ინსტიტუციები განკარგავდნენ, მაინც არ იყო გამოცემის სტანდარტის მიხედვით ჰომოგენური. სტანდარტი და აღნიშვნები იცვლებოდა დროთა განმავლობაშიც, მაგალითისათვის შევადაროთ ორმოციანი წლებისა და ოთხმოცდაათიანი წლების ეპიგრაფიკული გამოცემები:

უცვლელად:

ი: ბოტბ: ჩაპლტა: რა...
 ვ: ჩჰე
 ს ი ტ ა
 ან: ო
 :ლ:ო: ჩნო
 გაბრლი
 დაიცოვენ

ქარაგმების გახსნით:

ი: ბოტბ: ჩაპლტა: რა...
 ვ: ჩჰე⁽¹⁾
 ს ი ტ ა
 ამინ : ოჯფალო
 :ლმერთო: ჩუენო
 გაბრიელი
 დაიცოვენ.

როგორც აქედან ჩანს, თავი და ბოლო წარმოგვიდგენს ქართულ ტექსტს აზგვარი შემთხვევისათვის ტრაფარეტულს, ოღონდ ყურადღებას იპყრობს შემდეგ

ა) პირველი სიტყვა წოდებითში კი არაა (ჯუარო). არამედ—სახელობითში აქ დასახელებაა იმისა, რაც ჩვეულებრივ წარწერებში ნიშნით გადმოიცემა ჯგერის კულტს ეს შეეფერება [1], [2].

ბ) ჯერ შესაწყალელებელი თეოდორეა დასახელებული, მერე—შემწყალელებელ წმიდანი; ჩვეულებრივია—პირიქით. წო თე შეიძლებაოდა წობ თეგი-ს განმეორებად მიგვეჩნია—შინაარსით (იხ. ქვემოთ) ეს გამართლებული იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქარაგმა მოსალოდნელი არ იყო.

ილუსტრაცია : არნოლდ ჩიქობავა: ქართულ-ხუნძური ნარწერა, XIV საუკუნე, დაღესტანი, (ჩიქობავა 1940)

ვალერი სილოგავას შესრულებულ გამოცემებს თან ახლავს პირობით ნიშანთა ჩამონათვალიც.

პირობითი ნიშნები

() — ქარაგმის გახსნა.

[] — აღდგენილი ადგილები.

{ } — აზრის გასამართავად დამატებული სიტყვები.

[...] — ნაკლები ტექსტი, რომლის სიდიდე გაურკვეველია.

[±8] — დაზიანებული ტექსტი, რომლის აღდგენა არ მოხერხდა; ციფრი აღნიშნავს ასოთა დაახლოებით რაოდენობას.

[?] — წაკითხვა საეჭვოა.

(?) — წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სიტყვა გაუგებარია.

| — სტრიქონის დასასრული.

|| — გვერდის დასასრული.

ილუსტრაცია 2. : ვალერი სილოგავა „კუმურდო - ტაძრის ეპიგრაფიკა“ 1994

ნაშრომს „კუმურდო - ტაძრის ეპიგრაფიკა“, (სილოგავა 1994) დართული აქვს პირობითი აღნიშვნების სია. როდესაც ვ. სილოგავას გამოცემებს ვეცნობით, ცხადი ხდება, რომ მასაც აღელვებდა გამოცემის სტანდარტის, პირობითი აღნიშვნების, მათი სტანდარტიზაციის პრობლემა. ნაშრომი „კორიდეტის საბუთები (X-XIII სს)“ (სილოგავა, კორიდეტის საბუთები 1989) წარმოაჩენს, თუ რას ფიქრობდა სილოგავა გამოცემის არსებული სტანდარტის შესახებ.

აჭარაში, სოფელ კორიდეტში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) ღვთისმშობლის ეკლესიაში IX- XIV საუკუნეებში დაცული იყო ბერძნული ოთხთავის ხელნაწერი ეტრატზე; XIV ს-დან ხელნაწერები კალის თემის წმ. კვირიკეს ეკლესიაში (ლაგურკა) დასტურდება; ხელნაწერები ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. ხელნაწერისაგან თავისუფალ ადგილებში დატანილია მინაწერები, იურიდიული აქტები - მინაწერი ისტორიული საბუთები. კორიდეტის საბუთების ერთ-ერთი პუბლიკაცია ეკუთვნოდა ნიკო მარს, კერძოდ საუბარია 1911 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში განხორციელებული პუბლიკაციაზე. აი, რას ამბობს ვ. სილოგავა ამ ნაშრომის შესახებ: „იგი სანიმუშოა და გამორჩეული არა მარტო ამ მინაწერების სხვა გამოცემებთან შედარებით, არამედ საერთოდ ხელნაწერებზე მოთავსებული მინაწერების გამოცემის მეთოდების, პრინციპებისა და ხერხების თვალსაზრისით. ფილოლოგიური ხასიათის მაღალმეცნიერულ გამოკვლევასთან ერთად, განუზომლად ზრდის ამ გამოცემის მნიშვნელობას ის, რომ მას ახლავს მინაწერების ფოტოასლები, შესრულებული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რაც მათი შესწავლის საშუალებას იძლევა დედნის, თვით ხელნაწერის, მოხმობის გარეშე...“ შემდეგ ვ. სილოგავა გამოცემის ახალ პრინციპებს ეხება: „ისინი [ხელნაწერი საბუთები] მომზადდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოცემის ამჟამად მიღებული პრინციპების შესაბამისად. ამ პრინციპების მიხედვით მინაწერების ტექსტების გამართვამ გამოიწვია მათი ერთობ გადატვირთვა ტექნიკური ნიშნებით და ამის გამო, ეს ტექსტები ძნელად აღსაქმელი შეიქნა. ამიტომ, გამოცემის I დამატებაში წარმოვადგინეთ საბუთების ტექსტები ტექნიკური ნიშნების გარეშე და ამის შედეგად, ამ მეტად საინტერესო მასალის გაცნობა შეუძლია არა მარტო სპეციალისტებს, არამედ საერთოდ ნებისმიერ მკითხველს.“

ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსული გამოცემა

ჯერ კიდევ 1926 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მანამდე გამოქვეყნებული დიუბუას, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, ივანე როსტმაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებში დიდი ეპიგრაფიკული მასალა იყო თავმოყრილი, მაგრამ არცერთ მათგანში ეს ძეგლები წმინდა ეპიგრაფიკული შესწავლის საგანი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ საისტორიო წყაროების ფუნქციით იყო გამოქვეყნებული, ამასთან არც თუ იშვიათი იყო ამ გამოცემებში უზუსტობები (უცხოელი ავტორების შემთხვევაში შესაძლოა იმიტომაც, რომ მასალას მათ არაპროფესიონალი პირები აწვდიდნენ საქართველოდან, როგორც ეს მაგალითად მარი ბროსეს შემთხვევაში იყო) და თვალსაჩინოებების (ტაბულებისა და ფოტოპირების) ტექნიკური წუნით გამოცემა. „თავისთავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემა აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიდ საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ“ (ჯავახიშვილი 1949, 22) ქართული წარწერების კორპუსის პირველი ტომი ამ მოსაზრების გამოთქმიდან თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1980 წელს გამოიცა და მასში შევიდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X საუკუნეების ორასზე მეტი ლაპიდარული წარწერა. გამოცემა შეადგინა ნოდარ შოშიაშვილმა, ძველი ქართული წარწერების ეს კორპუსი მიზნად ისახავდა „ქართული წარწერების სრული კრებულის (როგორც უკვე გამოცემულის, ისე გამოუცემელის) სათანადო, სპეციალური არქეოგრაფიული წესების მიხედვით გამოცემას“. აღსანიშნავია, რომ ლაპიდარული წარწერების კორპუსი გამოიცემოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექციის მიერ საქართველოს ისტორიის წყაროების სერიის ფარგლებში. რედაქტორის, ზაზა ალექსიძის, წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ წარწერათა ტექსტები ქვეყნდება სრული მეცნიერული აპარატით, გრაფიკული მონახაზებითა და ფოტოპირებით, რომელთაც უნდა დააკმაყოფილონ ისტორიკოსების, ფილოლოგების, ენათმეცნიერებისა და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში მომუშავე სპეციალისთა ინტერესები. შემთხვევითი არ არის, რომ დასკვნაში ხაზგასმულია: „მიუხედავად იმისა, რომ „ქართული წარწერების კორპუსის“ პირველი ტომი წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით არის შედგენილი, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში

შესვლის შემდეგ, ალბათ, მაინც უკეთ გამოჩნდება ამ პრინციპების ზოგადი ნაკლი ან გაუმჯობესების შესაძლებლობა.“ (მოშიაშვილი 1980)

საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემის მოკლე მიმოხილვა აჩვენებს, რომ ჩვენში ამ დარგის განვითარება ეტაპობრივად მოჰყვება ეპიგრაფიკის, როგორც დარგის ისტორიას. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ეპიგრაფიკა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ევროპაში ნარწერების პირველი გამშიფრველები არაპროფესიონალი, ლათინურსა და ბერძნულში განსწავლული დიდგვაროვანი მოგზაურები იყვნენ, ამიტომაც ლათინური და ძველი ბერძნული ნარწერების პირველი გამოცემები უსისტემოა. ასეთივეა საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ ნაშრომები, რომლებიც XIX საუკუნის მოღვაწეებს ეკუთვნით: დიუბუა დე მონპერე (de Montpéreux 1839), პლატონ იოსელიანი (იოსელიანი 2009), მარი ბროსე (ბროსე 2011), დიმიტრი ბაქრაძე (ბაქრაძე 1987), ექვთიმე თაყაიშვილი (თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი 1899), ლეონ მელიქსეთ-ბეგი (მელიქსეთ-ბეგი 1926). მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლები გამოიცემოდა ისევე, როგორც ევროპაში. მკვლევრები აწყდებოდნენ სპეციფიკურად ქართულთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებს და ცდილობდნენ მათ გადაჭრას. ის მიდგომები, რომლებიც განსაზღვრავდა ქართული ეპიგრაფიკული მასალის გამოცემის ფორმას მის პირველ ეტაპზე, სრულად იყო გაზიარებული ქართველი მკვლევრების მიერ მეოცე საუკუნის ბოლომდე, ავტორთა უმრავლესობა კი არ იცნობდა და, შესაბამისად, თავიანთ გამოცემებში არ იყენებდა ლაიდენის კონვენციას.

ციფრული რევოლუცია და ჰუმანიტარული მეცნიერებები

კაცობრიობის არსებობის მანძილზე სიტყვიერებასთან და დამწერლობასთან დაკავშირებული გამოგონება თუ ტექნიკური სიახლე ყოველთვის იწვევდა ძირეულ და მასშტაბურ ცვლილებებს. ამ ცვლილებებს ყოველთვის ხვდებოდა კონსერვატორული წინააღმდეგობა და სიახლეებიც სხვადასხვა სისწრაფით მკვიდრდებოდა. პლატონის ერთ-ერთ დიალოგში, „ფედროსი“, სოკრატე ფედროსთან საუბრისას იხსენებს ძველ ეგვიპტურ ამბავს, როდესაც ღმერთი თოტი თავის გამოგონებას, ანბანს, ფარაონ თამუზს წარუდგენს, ფარაონი იწუნებს სიახლეს და ამბობს, რომ დამწერლობა მოკლავს მახსოვრობის უნარს:

[275ა] და ახლა []ენ, რომელიც ხარ წერილთა მამა, კეთილგანწყობის გამო მათივე ძალის საპირისპირო [თვისებებს] მიაწერ [ადამიანებს]. [წერაში] დახელოვნებულების გონს გულმავიწყობა დასჩემდება, რადგან მახსოვრობას აღარ გაავარჯიშებენ. ნაწერს მინდობილები გარეგანი ნიშნებით გაიხსენებენ და არა შინაგანი მახსოვრობით. []ეხსენების წამალი გიპოვნია და არა მახსოვრობისა.²⁵

სწორედ ამ ციტატით იწყებს თავის ესეს „გუტენბერგიდან ინტერნეტამდე“ უმბერტო ეკო, სადაც ავტორი ნათელი მაგალითებით აჩვენებს, რომ წიგნის ელექტრონული მომავლისადმი შიში გაუმართლებელი კონსერვატიზმია. „[კომპიუტერის] დისპლეი უნივერსალური წიგნია, რომელშიც სამყარო სიტყვებითაა წარმოდგენილი და გვერდებადაა დაყოფილი“. (ეკო 2008)

თუკი ხელნაწერი წიგნის გავრცელება აბრაამიანულ რელიგიებთან ერთად მოხდა, ბეჭდური რევოლუციის იდეური საფუძვლები რეფორმაციამ შექმნა (პროტესტანტული იდეის, რომ ადამიანს არ სჭირდება შუამავალი ღმერთთან) გამოხატულებად იყო მიჩნეული დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“, ასეთი იყო იდეალური პროტესტანტი, ადამიანი, რომელმაც დატოვა ცოდვილი სამყარო, რათა ყველაფერი ხელახლა დაიწყო, თან კი ერთადერთი წიგნი, ბიბლია აქვს. თითოეულ პროტესტანტს თითო ბიბლია სჭირდებოდა ამას

²⁵ [275a] σὺ, πατήρ ὧν γραμμάτων, δι' εὐνοίαν τοῦναντίον εἶπες ἢ δύνатаι. τοῦτο γὰρ τῶν μαθόντων λήθην μὲν ἐν ψυχῇ παρέξει μνήμη ἀμελετησῆ, ἅτε διὰ πίστιν γραφῆς ἔξωθεν ὑπ' ἄλλοτρίων τύπων, οὐκ ἔνδοθεν αὐτοῦς ὑπ' αὐτῶν ἀναμνησκομένους· οὐκοῦν μνήμη ἀλλὰ ὑπομνήσεως φάρμακον ἦν ῥε. (Plato, Phaedrus n.d.)

დავუმატოთ ტექნიკური პროგრესი და პირველი საბექდი პრესის გამოგონება და მასობრივი ბექდვის პროცესის დაწყება გარდაუვალი გახდა. ცნობილია, რომ თავად ლუთერის 95 თეზისის გავრცელებაში შეუცვლელი როლი ბექდვამ შეიტანა, მათი გამოქვეყნებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ თეზისების უკვე 300000 ბექდური ასლი არსებობდა გერმანიასა და მთელ ევროპაში (Duchesne 2006).

რა გახდა ამგვარივე მაპროვოცირებელი ფაქტორი ციფრული რევოლუციისათვის? ცხადია, ჯერ მეორე მსოფლიო და შემდგომში ცივი ომი. მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ და ინგლისმა ერთმანეთის დაშიფრულ ინფორმაციაზე ნადირობისას აქამდე არაარსებული ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს, ცივმა ომმა კი ამერიკელი სამხედროები აიძულა ახალი ერთიანი ქსელის, ინტერნეტის შექმნაზე ეზრუნათ. ვების საჯარო მოხმარებაში შემოსვლის თარიღი კი ზუსტად ემთხვევა ცივი ომის დასასრულს – 1991 წელს.²⁶ მიუხედავად იმისა, რომ ვების შექმნამ მნიშვნელოვნად გაადვილა კომუნიკაცია, პირველ რიგში, სამეცნიერო დანესებულებებსა და მკვლევრებს შორის (ვების კონცეფციაც ხომ ცერნში, ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში შეიქმნა), რაღაც ხანს, ამ სიახლემ ანალიტიკური კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩიხიდან მკვლევრების ყურადღება ინფორმაციის ვირტუალურ თაროებზე განთავსებისკენ მიმართა და ამდენად, კომპიუტერული ანალიზის რიგი პრობლემები „დაასამარა“ (McCarty 2013)

ცხადია, სადავოა, რომელია პირველი ელექტრონული წიგნი ან კონკრეტულად საიდან უნდა ავითვალოთ ელექტრონული წიგნის ისტორია, თუმცა, ციფრული წიგნის ისტორიის ღირსეულ დასაწყისად სამართლიანად მიიჩნევენ თომა აქვინელის ელექტრონული კორპუსის – Index Thomisticus, (<http://www.corpusthomisticum.org>) შექმნას. პროექტზე მუშაობა 1946 წელს იწყება, მაშინ, როცა არ არსებობს ინტერნეტის ქსელი, კომპიუტერი კი დღევანდელთან შეუდარებლად განუვითარებელია. პროექტის ავტორია იტალიელი იეზუიტი მღვდელი, რობერტო ბუსა, რომელიც გახდა ერთ-ერთი პირველი, ვინც კომპიუტერის ლინგვისტური და ლიტერატურული ანალიზისათვის გამოყენება დაიწყო. მან საფუძველი დაუდო ციფრულ ჰუმანიტარიას. ციფრული ჰუმანიტარია (ინგლ. Digital

²⁶ ბერლინის კედელი 1989 წლის 9 ნოემბერს დაინგრა; საბჭოთა კავშირი 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის შეთანხმებაზე მხარეთა ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დაიშალა; სერ ტიმ ბერნერს ლიმ „მსოფლიო აბლაბუდის“ (World Wide Web) კონცეფცია 1989 წლის მარტში გამოაქვეყნა; საჯარო მოხმარებაში ვები 1991 წლის 7 აგვისტოს შემოვიდა.

humanities) დღეს წარმოადგენს კვლევის, სწავლებისა და შემოქმედების სფეროს, სადაც ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინები კვეთს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. დღეს ციფრული ჰუმანიტარია აერთიანებს როგორც გადაციფრებულ (ნაბეჭდის ციფრულ ვარიანტ) ისე ციფრულად შექმნილ დოკუმენტებს და იკვლევს მათ ტრადიციული ჰუმანიტარული დარგების მეთოდოლოგიითა და კომპიუტერული ხელსაწყოების (ინფორმაციის ვიზუალიზაცია, კომპიუტერული ანალიზი, ციფრული გამომცემლობა) საშუალებით. ციფრული ჰუმანიტარიის პირობებში მთავარი კვლევის მეთოდის სიზუსტე და მკვლევარის ანალიზის უნარია - მონაცემთა სრულყოფილი, სტრუქტურირებული ბაზა არსებობს და მისი დამახსოვრება არ არის საჭირო, (სხვა საქმეა, რომ ძნელად თუ ვინმე მოახერხებს, მაგალითად, განმანათლებლობის პერიოდზე მუშაობისას ნაიკითხოს და დაიხსომოს იმ ათი ათასობით წერილის შინაარსი, რომელსაც ვოლტერი, ლოკი და ნიუტონი სწერდნენ ერთმანეთს. „მხოლოდ ვოლტერის ავტორობით ასეთი 18 000 წერილი არსებობს“ – ამბობს დენ ედელშტაინი, სტენფორდის უნივერსიტეტის (ინფორმაციის ვიზუალიზაციის სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყენებისა და კვლევის პიონერი) პროფესორი, რომელიც განმანათლებლობის ეპოქის იდეების გავრცელების ვიზუალიზაციაზე მუშაობს. (Cohen 2010) ამდენად, ციფრული ჰუმანიტარიის წარმომადგენლები მიიჩნევენ რომ თუკი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეოცე საუკუნის ისტორიის ქრონოლოგიზაცია „იზმებით“ მიმდინარეობებით არის შესაძლებელი, დღეს, ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა აღარ უნდა ეძებონ შთაგონება ახალ ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ „იზმში“, არამედ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და იკვლიონ წყაროები, დოკუმენტები, მათი ციფრული ვარიანტები – რაზეც ადრე ხელი არ მიუწვდებოდათ. სწორედ ასეთი მასშტაბური ცვლილებების სათავეებთან დგას რობერტო ბუსა.

სავარაუდოდ, თომა აქვინელის კორპუსის შექმნის იდეა რობერტო ბუსას თავის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას დაებადა. ნაშრომი ეხებოდა ში თანდებულის (ლათ. In) გამოყენებას და მნიშვნელობას თომა აქვინელის შრომებში. თომა აქვინელის ყველა ნაშრომის 1.5 მლნ. სტრიქონის (9 მლნ. შუასაუკუნეების ლათინური სიტყვის) ლინგვისტური ანალიზისათვის მეცნიერს ალგორითმის შექმნა დასჭირდა.



რობერტო ბუსა

რობერტო ბუსამ შედლო დაერწმუნებინა IBM-ის დამაარსებელი თომას უოტსონი, დაეფინანსებინა თომა აქვინელის ელექტრონული კორპუსის შექმნა. პროექტმა 30 წელს გასტანა 1970 წლისათვის მზად იყო აქვინისტიკის 56 ტომი. 1989 წელს გამოვიდა წიგნის ელექტრონული დისკი, საბოლოოდ კი 2005 წელს ინტერნეტ ვერსია შეიქმნა. ამ დროისათვის მორფოლოგიურად მარკირებული და ლემატიზებული იყო თომა აქვინელის კორპუსის (118 ტექსტი აქვინელისა და 61 - მასზე) ყველა, 11 მილიონამდე სიტყვა. ლემატიზაცია, როგორც ცხადია, „ლემა“-ს (ლათ. Lemma) უკავშირდება, რაც სიტყვის კანონიკურ, სალექსიკონო ფორმას ნიშნავს²⁷.

ციფრული ეპიგრაფიკა

მეოცე საუკუნის დიდი ეპიგრაფიკული ექსპედიციებიდან მოყოლებული (ჟან-ფრანსუა

²⁷ სხვადასხვა ენაში, ლემას სიტყვის სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს, მაგალითად, გერმანული და ფრანგული ზმნის ლემა ყოველთვის ინფინიტივის ფორმითაა მოცემული, მაშინ როდესაც, ლათინურისა და ბერძნულის ზმნა, ჩვეულებრივ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი ლექსიკონებში. არაბულსა და ებრაულში ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის მასკულინური ფორმაა სალექსიკონო, ქართული იმავე ფუნქციით სახელზმნას იყენებს, კორეული კი ზმნის ძირს და სუფიქსს დაურთავს.

შამპოლიონის, კარლ რიხარდ ლეპსიუსის²⁸ და იპოლიტო როსელინის ეგვიპტოლოგიური ნაშრომები), საკვლევი მასალის დოკუმენტირების პროცედურები იცვლებოდა და ვითარდებოდა ათწლეულების განმავლობაში. ცალკე აღებული ერთი რომელიმე წესით წარმოებული დოკუმენტაცია ორიგინალურ მონუმენტს მაინც ვერ ასახავს სრულად. ფოტო ძეგლის ყველაზე ზუსტ რეპროდუქციას წარმოადგენს, თუმცა ცუდმა განათებამ და წარწერის სხვადასხვა სახის დაზიანებებმა შესაძლოა მას ეს სიზუსტე დაუკარგოს და მეტიც, არასწორი წაკითხვის მიზეზი გახდეს. წარწერის ფაქსიმილური ნახაზი სტანდარტული დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ისიც, შესაძლოა, გახდეს მიკერძოებული დასკვნების მიზეზი.

ისევე როგორც ციფრული ჰუმანიტარიის სხვა დარგების შემთხვევაში, ციფრული ეპიგრაფიკის, ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის მეთოდებიც თითოეული საგამომცემლო პროექტთან ერთად იხვეწება და ვითარდება. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გიზის ციფრული ბიბლიოთეკა (Giza Digital Library: The Giza Mastabas Series), რომლის ფარგლებშიც ეპიგრაფიკული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილის კომპიუტერიზება მოხერხდა. ციფრული ჰუმანიტარიის განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული ხედვა, რომ ახალი ტექნოლოგიები არა მხოლოდ ნაბეჭდის ციფრული ანალოგის შექმნისა და შენახვის შესაძლებლობას, არამედ კვლევის ახალი ხელსაწყოების შემუშავების საშუალებასაც გვაძლევს. შესაბამისად, ავტორები აღნიშნავენ, რომ „მანქანა ბევრად ჩამოუვარდება ადამიანს ეგვიპტოლოგიურ და ეპიგრაფიკულ კვლევასა და შემოქმედებითობაში, იგი 'ეპიგრაფიკული პროცესის' კიდევ ერთი ხელსაწყოა. ეპიგრაფიკული პრაქტიკის არც ერთი ასპექტი (წარწერების შესწავლა კონტექსტში, ეპიგრაფიკული ექსპერტზა, ფრაგმენტებისა და ლაკუნების რეკონსტრუქცია) ჯერ-ჯერობით ავტომატიზირებული და კომპიუტერით ჩანაცვლებული არ არის“²⁹.
[]იუხედავად ამისა, საყოველთაოდ გაზიარებული და გასაგებია აქამდე არსებული ეპიგრაფიკული (თუ სხვა პირველწყაროების) გამოცემების ციფრული აღწერის

²⁸ C. R. Lepsius, Denkmäler aus Aegypten und Aethiopien

²⁹ Digital Epigraphy: An Approach to Streamlining Egyptological Epigraphic Method Peter Der Manuelian, Journal of the American Research Center in Egypt Journal of the American Research Center in Egypt Vol. 35 (1998), pp. 97-113

მნიშვნელობა, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ლაიდენის კონვენციის ციფრული ანალოგი, EpiDoc-ი.

ლაიდენის კონვენცია და მისი გაციფრულების გზები

1930-იანი წლების პირველი ნახევრიდან მუშავდება ლაიდენის კონვენცია, რომელშიც გათვალისწინებულია ეპიგრაფიკული ძეგლის გამოცემის მანამდე არსებული წესები. (van Groningen 1932, 362-365). ლაიდენის კონვენცია სხვადასხვა ტიპის ფრჩხილის, წერტილებისა და სხვა პირობითი აღნიშვნების საშუალებით იძლეოდა სემანტიკური კოდირების საშუალებას. (Rued-Cunliffe 2010, 365-366) ცხადია, კონვენციის გავრცელებას ობიექტური ფაქტორები უშლიდა ხელს და მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელს უკვე არსებობდა კონვენციის პირველად ვერსია, მისი გამოყენება მაშინვე არ დაუწყიათ.

ლაიდენის კონვენციის მთავარ ნაკლად მიიჩნევენ, რომ ამ სტანდარტით გამოცემისას წარწერის ტექსტი მეორეული მნიშვნელობისაა, შედეგად, იკვეთებოდა ეპიგრაფიკის, როგორც არქეოლოგიური და ისტორიული დისციპლინის როლი და ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა წარწერის ენობრივ შესწავლას. (Cayless et al. 2009) ქართული ლაპიდარული წარწერების პირველი ტომის შესავალში აღნიშნულია: „...ამ გამოცემებმა, მიუხედავად რიგი მეცნიერული და ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებებისა, რომლებიც მათ ახლდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული საკითხების კვლევაში, ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ბაზის განმტკიცებაში“ (შოშიაშვილი 1980, 10). ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს ბერძნული წარწერების თინათინ ყაუხჩიშვილის გამოცემა, სადაც წარწერების ენას, მორფოლოგიას, ფონეტიკასა და სინტაქსზე ჯეროვანი ყურადღებაა მიქცეული (ყაუხჩიშვილი 2009).

αβγ	ტექსტი დაუზიანებელია, ადვილად იკითხება, ინტერპრეტირებას არ საჭიროებს
ΑΒΓ	ტექსტი დაუზიანებელია და ადვილად იკითხება, თუმცა ინტერპრეტირებულია რედაქტორის მიერ
α(βγ)	ქარაგმის გახსნა

[αβγ]	ტექსტი დაკარგულია დაზიანების შედეგად და აღდგენილია რედაქტორის მიერ
[.. c. 4 ..]	ასოთა მიახლოებითი რაოდენობა, რომელიც დაკარგულია დაზიანების შედეგად ან მისი აღდგენა არ ხერხდება
[.. ? ..]	დაზიანების შედეგად დაკარგული ასოები, რომელთა რაოდენობა უცნობია
< αβγ >	ასოები, რომელიც შეცდომით აქვს გამოტოვებული ამომკვეთელს
`αβγ`	ტექსტი, რომელიც ჩამატებულია ძველად, (ამომკვეთელის მიერ ან მალევე)
⌈αβγ⌋	ტექსტი, რომელიც შესწორებულია რედაქტორის მიერ
{αβγ}	ზედმეტი ასოები, რომელიც ამოკლებულია რედაქტორის მიერ

ლაიდენის კონვენციის შექმნა განაპირობა დიდი ეპიგრაფიკული კორპუსების გამოცემაზე მუშაობამ, როგორც იყო პირველ რიგში ლათინურ წარწერათა კორპუსი, Corpus Inscriptionum Latinarum. ამგვარი გამოცემისათვის სრულიად აუცილებელი იყო პირობით აღნიშვნებზე შეჯერება.

Das Leydener Klammer System, პაპიროლოგებისა და ეპიგრაფიკოსების მიერ წესების მიღებიდან ათი წლის განმავლობაში უკვე აქტიურად გამოიყენებოდა და კლასიკური განათლების მქონე მკითხველს მეტ-ნაკლები სიზუსტით შეეძლო მათი ამოკითხვა. (Sterling Dow 1969, I)

სამოციანი წლებისათვის, ბრინჯაოს ხანის ტექსტების აღმოჩენის შემდეგ, ლაიდენის კონვენციის გადახედვა გახდა საჭირო, A და B ხაზოვანი ტექსტების სამეცნიერო გამოცემისათვის მიღებული იქნა ლაიდენის კონვენციის დამატება - უინგსპრედის კონვენცია. თავად ლაიდენის კონვენციის ფარგლებში კი სამოციანი წლებისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა რედაქტორული ჩარევების, აღდგენილი ტექსტის სანდოობის ზუსტი კრიტერიუმების დადგენა და პირობით ნიშნებში ასახვა. (Dow 1969, 31)

სამოცდაათიანი წლების ბოლოდან, როდესაც თითქმის ყველა ჰუმანიტარულ დარგში იწყებენ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე მუშაობას (მაგალითისათვის, იქმნება გვიანი რომის იმპერიის *Prosopography of the Later Roman Empire (PLRE)* პროსოპოგრაფიული

ბაზა, ბრაინ მაკუინი იწყებს მუშაობას ბავშვის ენის მონაცემების გაცვლის სისტემაზე Child Language Data Exchange System (CHILDES)), დგება ლაიდენის კონვენციის ელექტრონულ ფორმატში, კერძოდ XML-ში ასახვის საკითხი.

1999 წელს ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკის საერთაშორისო ასოციაციის კომისია ეპიგრაფიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ, რომელსაც სილვიო პანჩერა ხელმძღვანელობდა (Bodard 2014, 3). ამ დროისათვის ციფრულად გამოცემული იყო ძირითადად ლათინური წარწერები ჰაიდელბერგის, რომისა და ბარის მონაცემთა ბაზებში. კომისიამ დაადგინა, რომ მონაცემები დაცული უნდა ყოფილიყო უნიკოდსა და XML ფორმატში. ამ შეთანხმების საფუძველზე ტომ ელიოტმა, ჩრდ. კაროლინის უნივერსიტეტის ანტიკური სამყაროს რუკების ცენტრის (Ancient World Mapping Center) დირექტორმა გამოაქვეყნა EpiDoc წესები ეპიგრაფიკული დოკუმენტების XML ფორმატში აღწერისათვის. წესები და ხელსაწყოები ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემისათვის მას შემდეგ, ყოველ ახალ გამოცემასთან ერთად იხვეწება; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აფროდისიასის ტაძრის ბერძნული წარწერების პირველი ციფრული სტანდარტიზებული კორპუსული გამოცემა, რომელიც გაბრიელ ბოდარსა და შარლოტა რუმეს ეკუთვნით.

ლაიდენის წესების კრამერისა და პანჩერას, Supplementum Epigraphicum Graecum, Duke Databank of Documentary Papyri და Leiden + ის სარედაქციო ადაპტაციების შეჯერება და გათანაბრება მოხდა წარწერის ტექსტის კოდირების EpiDoc წესებში. შედეგად შედარებითი ცხრილი ამგვარად გამოიყურება:

აღწერა	კრამერისა და პანჩერას sigla	SEG ³⁰	DDBD P ³¹	Leiden+	კოდირება XML ფორმატში EpiDoc-ის მიხედვით
II წარწერის ახალი ხაზი	abc / abc			1.	<lb n="1"/> etc.
III. 1 სუფთა, დაუზიანებელი ტექსტი	abc	αβ	αβγ	αβγ	abc

³⁰ Supplementum Epigraphicum Graecum

³¹ Duke Databank of Documentary Papyri

III. 2	სუფთა მაგრამ გაურკვეველი ასოები	ABC	AB		=αβ=	<orig>abc</orig>
III. 3	ასო, რომლის იდენტიფიცირება კონტექსტის გარეშე რთულია	αβγ	αβ	αβ	αβ	<unclear>αβ</unclear>
III. 4	ასოთა ნარჩენები ხილულია, მაგრამ არ იკითხება	+++3	<gap reason="illegible" quantity="3" unit="character"/>
III. 5	ტექსტი ხელმისაწვდომი იყო წინა რედაქტორისათვის, მაგრამ ახლა დაკარგულია	<u>abc</u>				<supplied reason="undefined" evidence="previouseditor"> αβγ</supplied>
--	ტექსტი აღდგენილია პარალელურს ასლთან შედარების საფუძველზე			αβγ	_[αβγ]_	<supplied reason="undefined" evidence="parallel">αβγ</s upplied>
IV. 1	დიაკრიტიკული ნიშნები (Apices)	á é í ó ú		(app)	a(')	<hi rend="apex">a</hi> etc.
IV. 2	სუპრალინეარული ხაზები	ā b c̄		α	̄ᾱ	<hi rend="supraline">abc</hi>
IV. 3	კლავდიუსის ასოები	γ, βs, ps, v				<g type="claudian_γ"/> or now Unicode characters
IV. 4	ლიგატურები	ab̄				<hi rend="ligature">ab</hi>
V.1	წაშლილი ასოები	[[abc]]	[[αβ]]	[[αβ]]	[[αβ]]	<del rend="erasure">αβ
V.3	წაშლილი და დაკარგული ასოები	[[...]]	[[...]]	[[...]]	[[.3]]	<del rend="erasure"><gap reason="lost" quantity="3" unit="character"/>
VI. 1	წაშლილი და ჩასწორებული ტექსტი	⟨abc⟩				<add place="overstrike">αβγ</ad d>
	წაშლილი და ჩამატებული ან			(app)	<:γδ subst αβ :>	<subst><del rend="corrected">αβ

	ჩასწორებული ტექსტი					<add place="overstrike">γδ</add ></subst>
VII. 1	ძველადვე ჩამატებული ტექსტი (ზემოთ)	`abc´		\αβ/	\αβ/	<add place="above">αβ</add>
VII. 1	ძველადვე ჩამატებული ტექსტი (ქვემოთ)			/αβ\	//αβ\\	<add place="below">αβ</add>
VIII .1	დაკარგული, მაგრამ აღდგენილი ასოები	[abc]	[αβ]	[αβ]	[αβ]	<supplied reason="lost">αβ</supplied>
	ასოების სავარაუდო აღდგენა	[abc?]	[αβ?]	[αβ?]	[αβ?]	<supplied reason="lost" cert="low">αβ</supplied>
	არასრულად აღდგენილი სიტყვა	[abc-]	ἐτα[ῖρ-]			<w part="1">ἐτα<supplied reason="lost">ῖρ</supplied ></w>
VIII .2	დაკარგული ასოები, ლაკუნა	[...]	[..]	[...]	[.3]	<gap reason="lost" quantity="3" unit="character"/>
VIII .3	ლაკუნა, მოცულობა უცნობია	[---]	[----]	[- ca.? -]	[.?	<gap reason="lost" extent="unknown" unit="character"/>
VIII .3	ლაკუნა, დაახლოებითი მოცულობა	[<u>ca.5</u>]		[- ca.5 -]	[ca.5]	<gap reason="lost" quantity="5" unit="character" precision="low"/>
VIII .4	ლაკუნა, praenomen	[-]				<name><gap reason="lost" atLeast="1" atMost="3" unit="character"/></name>
	ლაკუნა, სავარაუდო მოცულობის ფარგლები			[- 5-7 -]	[5-7]	<gap reason="lost" atLeast="5" atMost="7" unit="character"/>
VIII .5	დაკარგული ხაზი	[- - - - -]		[-ca.1 line-]	lost.1lin	<gap reason="lost" quantity="1" unit="line"/>
VIII .6	ტექსტის ბოლოს დაკარგული ხაზ(ებ)ი	- - - - -		- - - - -	lost.?lin	<gap reason="lost" extent="unknown" unit="line"/>

VIII .7	სავარაუდოდ დაკარგული ხაზი	[- - - ?]		[-ca.1line(?) e(?) -]	lost.1line(?)	<gap reason="lost" quantity="1" unit="line"> <certainty match=".." " locus="name"/></gap>
VIII .7	ტექსტის ბოლოს სავარაუდოდ დაკარგული ხაზ(ებ)ი	----- ?		--- --- --- --- (?)	lost.?line(?)	<gap reason="lost" extent="unknown" unit="line"> <certainty match=".. " locus="name"/></gap>
IX. 1	რედაქტორის მიერ ამოკლებული ზედმეტი ასოები	{abc}	{αβ}	{αβγ}	{αβγ}	<surplus>αβγ</surplus>
IX. 2	რედაქტორის მიერ ჩამატებული გამოტოვებული ასოები	<abc>	<αβ>	<αβγ>	<αβγ>	<supplied reason="omitted">αβ</sup plied>
IX. 3	რედაქტორის მიერ ჩასწორებული ასოები	{abc ¹ }	<αβ>	(app)	<:αβ corr βα: >	<choice><corr>αβ</corr><s ic>β</sic></choice>
	რედაქტორის მიერ „რეგულირებული“ ³² სიტყვა			(app)	<:έκ reg έγ:>	<choice><reg>έκ</reg><ori g>έγ</orig></choice>
X.1	ქარაგმის, აბრევიაციის გახსნა	a(bc)	α(βγ)	α(βγ)	(α(βγ))	<expan><abbr>α</abbr><e x>βγ</ex></expan>
	ქარაგმის სავარაუდო გახსნა	a(bc?)	α(βγ?)	α(βγ?)	(α(βγ?))	<expan><abbr>α</abbr><e x cert="low">βγ</ex></expa n>
	ქარაგმის არასრული გახსნა	a(bc-)	α(βγ-)			<w part=" "><expan>α<ex>βγ </ex></expan></w>
X.2	ქარაგმა, რომლის გახსნა უცნობია	a(---)		α()	((αβ))	<abbr>α</abbr>
X.3	სიმბოლოს გახსნა	(abc)	(αβ)	(αβ)	((αβ))	<expan><ex>αβ</ex></exp an>

³² იგულისხმება: ენის ნორმების მიხედვით

X.4	რედაქტორის მიერ ნაგულისხმევი (Subaudible) სიტყვის ჩამატება ამოკითხვისას	(scil. abc)				<supplied reason="subaudible">აბც</ supplied>
X.5	ტექსტი დაუსრულებელი დარჩა ამომკვეთს	(---)				<gap reason="omitted" extent="unknown" unit="character"/> or <gap reason="omitted" extent="unknown" unit="line"/>
XI. 1	რედაქტორის შენიშვნა, i.e. 'sic'	(!)		(!)	/*!*/	<note>!</note>
				(sic)	/*sic*/	<note>sic</note>
XI. 2	ქვამზე დატოვებული ადგილი	(vac.3)	v. vacat	(vac.3)	vac.3	<space quantity="1" unit="character"/> <space quantity="3" unit="character"/>
XI. 3	უცნობი მოცულობის ადგილი ქვამზე	(vac.?)	vac.	(vac.?)	vac.?	<space extent="unknown" unit="character"/>
XI. 4	რედაქტორის მიერ ტექსტის სიმოკლისათვის ამოღებული სიტყვები	... / [...]			(Lines: ? non transcribed)	<gap reason="ellipsis"/>
--	სიტყვის გადატანა ხაზიდან ხაზზე		აბც- დღჯ		1.-	<lb break="no"/> *NB* in <lb/> following hyphen
--	ტექსტის მიმართულება		←			<lb rend="right-to-left"/> *NB* in <lb/> preceding line
--	რიცხვითი სახელი	XII			<#XII=12#>	<num value="12">XII</num>
--	ასო რიცხვითი მნიშვნელობით		ა'		<#ა=1#>	<num value="1">ა</num>
--	რიცხვითი სახელი		.ა		<#A=1000#>	<num value="1000">ა</num>
--	სიმბოლო		((leaf)) or leaf		*leaf*	<g type="leaf"/>

TEI და EpiDoc

ტექსტის კოდირების ინიციატივა (TEI) არის კონსორციუმი, რომელიც ავითარებს ტექსტების ციფრული სახით წარმოდგენის სტანდარტს. მისი მთავარი მიზანია შექმნას სახელმძღვანელო ინსტრუქციების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს მანქანით წაკითხვადი ტექსტების კოდირების მეთოდებს, ძირითადად ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებსა და ლინგვისტიკაში. 1994 წლიდან TEI გაიდლაინები გამოიყენება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, გამომცემლებისა და ცალკეული მეცნიერების მიერ, ტექსტების ონლაინ კვლევის, სწავლებისა და დაცვისათვის. სწორედ TEI წესების ქვეჯგუფს წარმოადგენს ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური მასალის კოდირების წესები – EpiDoc. EpiDoc არის ლაიდენის კონვენციის ციფრული ანალოგი, რომელიც საერთაშორისო ციფრული ეპიგრაფიკული საზოგადოების მიერ იქმნება და ეპიგრაფიკულ და პაპიროლოგიურ ძეგლთან დაკავშირებული ყველა აქამდე შესწავლილი თავისებურებების XML ფორმატში დოკუმენტირების წესებს გვთავაზობს.

TEI ჰედერი ეპიგრაფიკული ძეგლისათვის

თითოეული EpiDoc-ის წესების მიხედვით კოდირებული XML ფაილი იერარქიული სტრუქტურისაა და იწყება TEI ჰედერით, ე.ი. TEI-ის მიერ განსაზღვრული მეთაური ჩანაწერით, რომელიც სტანდარტულია და გვაძლევს აღწერით და დეკლარატიულ მეტამონაცემებს აღსანიშნავი ციფრული მასალის შესახებ.

მოვიყვანოთ TEI ჰედერის მაგალითი საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსიდან, ECG110 ბოდოკლდის იოვანე გალატოზის წარწერისათვის და მიმდევრობით განვიხილოთ მისი ელემენტები:

```
<teiHeader>
  <fileDesc>
    <titleStmt>
      <title>ბოდოკლდის იოვანე გალატოზის წარწერა</title>
      <editor>ვალერი სილოგავა</editor>
    </titleStmt>
    <publicationStmt>
      <authority>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი</authority>
      <idno type="filename">ECG110</idno>
      <availability>
```

```

<licence target="http://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/">
  დოკუმენტი ვრცელდება Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 3.0 ლიცენზიით.
</licence>
</availability>
</publicationStmt>
<sourceDesc>
  <msDesc>
    <msIdentifier>
      <collection>ბოდოკლდე</collection>
    </msIdentifier>
    <msContents>
      <summary>
        <seg xml:lang="ka">მოსახსენებელი</seg>
        <seg xml:lang="en"/>
      </summary>
    </msContents>
    <physDesc>
      <objectDesc>
        <supportDesc>
          <support>
            <objectType ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">ფილა</objectType>
            <material ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/2">ქვა</material>
            <dimensions unit="cm">
              <width/>
              <height/>
              <depth/>
            </dimensions>
          </support>
        </supportDesc>
        <layoutDesc>
          <layout writtenLines="4">ნარნერა ოთხსტრიქონიანია. თავის დროზე იგი კედელში
            ჩასმულ ქვის ფილაზე იყო ამოკვეთილი
          </layout>
        </layoutDesc>
      </objectDesc>

```

```

<handDesc>
  <handNote script="nuskhuri" style="inscribed">
    <rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხური</rs> წარწერა,
    შესრულებულია სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურით
    <height/>
  </handNote>
</handDesc>
</physDesc>
<history>
  <origin>
    <origPlace>ბოდბეძის ეკლესია</origPlace>
    <origDate notBefore-custom="900" notAfter-custom="1100"
      evidence="lettering" datingMethod="#julian">X-XI AD</origDate>
  </origin>
  <provenance type="found">
    <placeName type="ancientFindspot">ბოდბეძის ეკლესია</placeName>
    <!-- "41.734266, 42.822445"-->
    <rs type="circumstances"/>
    <rs type="context"></rs>
    <rs type="monuList"/></provenance>
  <provenance type="observed">
    <placeName type="modernSpot">ბოდბეძის ეკლესია</placeName>
    <idno type="invNo"/>
  </provenance>
</history>
</msDesc>
</sourceDesc>
</fileDesc>
<revisionDesc>
  <change when="2019-10-29" who="Eka Kvirkvelia">ტექსტის სრული კოდირება, მეტამონაცემების სრული
  კოდირება, ბმულებით დაკავშირება ავტორიტეტულ წყაროსთან</change>
</revisionDesc>
</teiHeader>

```

TEI ჰედერში ორი ქვედანაყოფი გვაქვს, <fileDesc> (აღწერს წარწერის ფაილის ყველა მეტამონაცემს) და <revisionDesc> (აღწერს წარწერის ფაილში შეტანილ ყველა ცვლილებას და მასზე პასუხისმგებელ პირს). მაგალითისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ ციფრული ეპიგრაფიკის კურსი გაიარონ, რომლის ფარგლებშიც შემაჯამებელი სამუშაოს სახით შესრულებული ნარწერის კოდირება შემდგომი რედაქტირების შემდეგ, შესაძლოა კორპუსში მოხვდეს. სწორედ ამ გზას, ფაილის შექმნიდან (კურსი, სტუდენტი) რედაქტირებამდე აღწერს თავი <revisionDesc>.

<fileDesc>-ის ქვეელემენტებია:


- <titleStmt>
 - <title> ველი ნარწერის სათაურის კოდირებისათვის
 - <editor> ნარწერის (ბეჭდური გამოცემის) რედაქტორი
- <publicationStmt> ციფრული გამოცემის აღწერილობა
 - <authority> ციფრულ გამოცემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია
 - <idno> ფაილის უნიკალური იდენტიფიკატორი
 - <availability> ფაილზე ხელმისაწვდომობა
 - <licence> ციფრული გამოცემის გამოყენების პირობები
- <sourceDesc> წყაროს აღწერა
 - <msDesc>
 - <msIdentifier>
 - <collection> კოლექციის აღწერა
 - <msContents>
 - <summary> ნარწერის ტიპი შინაარსის მიხედვით
 - <seg>
 - <physDesc> ნარწერის, როგორც ფიზიკური ობიექტის აღწერა
 - <objectDesc>
 - <supportDesc>
 - <support>
 - <objectType> ობიექტის ტიპი
 - <material> მასალა
 - <dimensions> ზომები
 - <width>
 - <height>
 - <depth>
 - <layoutDesc> ნარწერიანი ზედაპირის აღწერა
 - <layout>
 - <dimensions> ნარწერიანი ზედაპირის ზომა
 - <width>

<ul style="list-style-type: none"> ■ <height> 	წარწერის ხელის აღწერა
<ul style="list-style-type: none"> ■ <handDesc> <ul style="list-style-type: none"> ● <handNote> <ul style="list-style-type: none"> ○ <height> 	ასოთა სიმაღლე
<ul style="list-style-type: none"> ○ <history> 	წარწერის ისტორია
<ul style="list-style-type: none"> ■ <origin> <ul style="list-style-type: none"> ● <origPlace> ● <origDate> 	წარმომავლობა ადგილი თარიღი
<ul style="list-style-type: none"> ■ <provenance> <ul style="list-style-type: none"> ● <placeName> ● <rs type="circumstances"> <rs type="context"> <rs type="monuList"> 	პოვნის რეგისტრაცია ადგილი გარემოებები კონტექსტი მონუმენტების შიდა სია

ახლა კი განვიხილოთ თითოეული ელემენტი, კოდირების შემთხვევები და წესები.

ფაილების სახელდება და სათაურების კოდირება - ორენოვანი გამოცემის შემთხვევა

როგორც ვნახეთ წარწერის სათაურისათვის გამოყოფილია TEI ჰედერის ველი <title>. EpiDoc წესების მიხედვით რეკომენდირებულია კორპუსის თითოეულ ფაილს მიენიჭოს უნიკალური იდენტიფიკატორი (როგორც წესი, პროექტის აკრონიმი და წარწერის რიგითი ნომერი), რომელსაც წარწერის ფაილის სახელად ვიყენებთ, წარწერის გავრცელებული და ბეჭდური გამოცემების მიხედვით ცნობილი სათაური კი თავსდება <title> თავში. შედეგად, კორპუსში ვიღებთ უნიკალური იდენტიფიკატორების მიხედვით დალაგებული წარწერების სიას, ამასთან, ქარაგმის, პროსოპოგრაფიული თუ ადგილთა სახელების საინდექსაციო გვერდებსა და ბიბლიოგრაფიის ციფრულ კონკორდანსში წარწერებზე მითითება ამ უნიკალური იდენტიფიკატორებით ხდება (მაგალითებს ქვემოთ შესაბამის ქვეთავებში განვიხილავთ).



კორპუსის ყველა წარწერის XML ფაილი სახელდებული რეკომენდაციის მიხედვით თუკი ორენოვან ციფრულ გამოცემაზე ვმუშაობთ, <title> თავს ვურთავთ `xml:lang` ატრიბუტს და გავუწერთ გამოცემის ენის სტანდარტულ კოდს, მაგალითად ავიღოთ ECG002 წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერის კოდირება:

`<title xml:lang="ka">წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა</title>`

`<title xml:lang="en">Tsilkani Tomb Greek inscription</title>`

ამოსავალი გამოცემის შერჩევა და ექვდური გამოცემის რედაქტორის მითითება

წარწერის ამოსავალი ბექდური გამოცემის შერჩევა ციფრული გამოცემისათვის მნიშვნელოვან სარედაქციო გადაწყვეტილებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ წარწერის კომენტარებში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა აქამდე გამოცემული ნაკითხვა და ამ ნაკითხვების პოვნა მკითხველს ბიბლიოგრაფიის სრულ სიაში უნდა შეეძლოს, ამოსავალი გამოცემა (principal edition) არის გამოცემა, რომელსაც ეყრდნობა წარწერის

ტექსტის კოდირება. შესაბამისად, გარდა ბიბლიოგრაფიისა, ამოკითხვის ავტორი მითითებულია რედაქტორის ველში და შესაბამისად წარწერათა სრულ სიაში. წარწერის სათაურის მსგავსად, ორენოვანი გამოცემის შემთხვევაში რედაქტორის სახელსაც ვთარგმნით `xml:lang` ატრიბუტის გამოყენებით, მაგალითად ვნახოთ ECG005 დრაკონტის დედოფლის წარწერის კოდირება:

```
<editor xml:lang="ka">დევიდ ბრაუნდი</editor>
```

```
<editor xml:lang="en">David Braund</editor>
```

ციფრულ გამოცემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია და გავრცელების ლიცენზია - სეკ (საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის) შემთხვევა

ციფრულ გამოცემაზე პასუხისმგებელი კვლევითი ორგანიზაცია მითითებულია წარწერის თითოეულ ფაილში `<authority>` თავის გასწვრივ.

```
<publicationStmt>
```

```
<authority>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი</authority>
```

```
<idno type="filename">ECG110</idno>
```

```
<availability>
```

```
<licence target="http://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/">
```

დოკუმენტი ვრცელდება Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 3.0 ლიცენზიით.

```
</licence>
```

```
</availability>
```

```
</publicationStmt>
```

პროექტის აკრონიმისა და წარწერის რიგითი ნომრისაგან შემდგარი უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც წარწერის დასახელებად შევინახეთ `<idno type="filename">` თავის გასწვრივ თავსდება. `<licence>` თავი ინახავს ინფორმაციას ლიცენზიის ან ფაილის გავრცელებისა და გამოყენების შესახებ. `<licence>`-ს მითითებული აქვს ბმული CC (creative commons) ლიცენზიის ტიპზე, რომლითაც ვრცელდება ციფრული გამოცემის ფაილები: `target="http://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/3.0/"`. საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის შემთხვევაში ფაილების გამოყენება ნებადართულია CC BY-NC-SA 3.0 ლიცენზიით, რაც გულისხმობს არაკომერციული მიზნით ფაილების ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას ავტორის მითითებით, ShareAlike პრინციპის დაცვით - იმ შემთხვევაში, თუკი ახალ

პროექტში გამოიყენებთ ჩვენს ფაილებს, მაშინ იღებთ ვალდებულებას, თქვენ მიერ შემატებული ცვლილებებიც ღია წესით იმავე ლიცენზიით გაავრცელოთ.

წარწერის შინაარსობრივი კატეგორია, მისი კოდირება

წარწერის შინაარსობრივი კატეგორიის განსაზღვრისას საქარველოს ეპიგრაფიკული კორპუსისათვის ვხელმძღვანელობთ ერთი პრინციპით, მივყვებით რედაქტორის მიერ ბეჭდურ გამოცემაში მოცემულ კატეგორიზებას და წარწერის შინაარსის კოდირებას ვაკეთებთ <summary> თავში.

```
<summary>  
  <seg xml:lang="ka">შენიშნული</seg>  
  <seg xml:lang="en">Donating</seg>  
</summary>
```

ამგვარი კოდირება შემდგომ საშუალებას გვაძლევს, წარწერის ტიპი საძიებო ერთეულად ვაქციოთ და ვნახოთ ყველა საამშენებლო, მიძღვნილი თუ შენიშვნილი წარწერა. სხვადასხვა ავტორი ერთი და იმავე შინაარსის აღსაწერად განსხვავებულ ტერმინებს იყენებს და შესაბამისად კორპუსში გვაქვს როგორც „საამშენებლო“ ისე „სააღმშენებლო“ წარწერები ცალკე ნუსხად წარმოდგენილი – რაც გარკვეულ ხარვეზს წარმოადგენს. []მის მიუხედავად, წარწერის ტიპის კოდირების ეს პრინციპი განზრახ დავიცავით, რადგან, სამომავლოდ წარწერების დიდი რაოდენობის კოდირებისა და კორპუსის ზრდის შედეგად (მას შემდეგ რაც გამოყენებულ ტერმინთა დიდი ნაწილი წარმოდგენილი იქნება საძიებო სიტყვად) მათი გარე კონტროლირებადი ლექსიკონის შექმნა და შესაბამისად „საამშენებლო“ – „სააღმშენებლო“ ტიპის შემთხვევების გათანაბრება შეუძლოა.

ამ გზით, ერთი მხრივ, დავიცავთ სიზუსტეს და გამოვიყენებთ მრავალფეროვან ტერმინებს, რომელსაც სხვადასხვა პერიოდის გამოცემებში ვხვდებით, მეორე მხრივ კი თითოეულ ამ ტერმინზე ერთი ამოსავალი ფორმის მუდმივი ბმულის (URI) მითითებით გარე კონტროლირებადი ლექსიკონიდან, ერთმანეთთან დავაკავშირებთ და აღმოვფხვრით ტერმინოლოგიური აღრევა-დუბლირების შემთხვევებს. ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიასთან დაკავშირებული გარე კონტროლირებადი ლექსიკონის შექმნა (ადგილთა საცავთან, პროსოპოგრაფიულ გვერდთან თუ მასალის კონტროლირებად ლექსიკონებთან ერთად)

საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის განსავითარებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

წარწერის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის აღწერა

წარწერის ფიზიკური აღწერისათვის EpiDoc წესები იყენებს TEI-ში ხელნაწერის ფიზიკური აღწერილობისათვის განსაზღვრულ <physDesc> თავს. რომელიც თავის მხრივ, აერთიანებს ობიექტის აღწერილობას (ECG005 დრაკონტისის წარწერის კოდირების მაგალითი):

```
<supportDesc>
  <support>
    <objectType xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">ფილა</objectType>
    <objectType xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">Plaque</objectType>
    <material xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">ქვიშაქვა</material>
    <material xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">Sandstone</material>
    <dimensions unit="cm">
      <width>16.5</width>
      <height>33</height>
      <depth>8.5</depth>
    </dimensions>
  </support>
</supportDesc>
```

და წარწერიანი ზედაპირის აღწერილობის ბლოკს:

```
<layoutDesc>
  <layout writtenLines="9">
    <seg xml:lang="ka">ოთხად გატეხილ ფილაზე ცხრა სტრიქონად გამოყვანილია ბერძნული ასომთავრული
წარწერა. ფრაგმენტების სიმაღლეებია: 11 სმ, 12.5 სმ, 9.5 სმ და 13 სმ. ფილის მარჯვენა მხარის ზემოთა მეოთხედი
დაკარგულია.</seg>
    <seg xml:lang="en">The plaque is broken in four pieces and its Greek capital letter inscription contains nine
lines. The height of the fragments are: 11 cm., 12,5 cm., 9,5 cm. And 13 cm. The upper quarter part of the right side of
the plaque is lost.</seg>
  <dimensions unit="cm">
    <width>16.5</width>
    <height>33</height>
  </dimensions>
</layout>
```

</layoutDesc>

მასალის აღწერა და LOD (Linked Open Data) პრინციპის გამოყენება სეკ-ში
წარწერის მასალის აღწერა ობიექტის აღწერილობაშია მოთავსებული და მისი ორენოვანი
კოდირება ასე გამოიყურება:

<supportDesc>

<support>

<objectType xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">ფილა</objectType>

<objectType xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">Plaque</objectType>

<material xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">ქვიშაქვა</material>

<material xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">Sandstone</material>

<dimensions unit="cm">

<width>16.5</width>

<height>33</height>

<depth>8.5</depth>

</dimensions>

</support>

</supportDesc>

ორივე, მასალის ქართული და ინგლისური სახელი, რომელიც კორპუსის შესაბამის გვერდზე
უნდა გამოჩნდეს LOD (ბმულებით დაკავშირებული ღია მონაცემები) პრინციპის დაცვით
არის დაკავშირებული EAGLE-ის გარე კონტროლირებად ლექსიკონებთან. აღსანიშნავია,
რომ მასალისა და ობიექტისათვის უკვე არსებულ საერთაშორისო გარეკონტროლირებად
ლექსიკონებს ვიყენებთ, ხოლო შესრულების ტექნიკისა და წარწერის შინაარსისათვის (ისევე
როგორც ვთქვამთ, მოხელეობის სახელებისათვის) სწორად მიგვაჩნია რეგიონალური
ფოკუსის მქონე გარე კონტროლირებადი ლექსიკონების შექმნა.

ობიექტის ტიპის აღწერა და LOD (Linked Open Data) პრინციპის გამოყენება

სეკ-ში

მასალასთან ერთად ფიზიკური აღწერილობის ბლოკშია განწერილი წარწერის ობიექტის
ტიპი, ორენოვანი კოდირების მაგალითი ECG005 დრაკონტისის წარწერის კოდირებიდან:

<supportDesc>

```

<support>
  <objectType xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">ფილა</objectType>
  <objectType xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/objtyp/lod/259">Plaque</objectType>
  <material xml:lang="ka" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">ქვიშაქვა</material>
  <material xml:lang="en" ref="http://www.eagle-network.eu/voc/material/lod/75">Sandstone</material>
  <dimensions unit="cm">
    <width>16.5</width>
    <height>33</height>
    <depth>8.5</depth>
  </dimensions>
</support>
</supportDesc>

```

ობიექტის ზომების კოდირება

ობიექტის ზომები, ისევე როგორც ნებისმიერი ზომა ნარწერის XML ფაილში `<dimensions>` თავით აღინერება. თავს ატრიბუტად მითითებული აქვს საზომი ერთეული:

```

<dimensions unit="cm">
  <width>16.5</width>
  <height>33</height>
  <depth>8.5</depth>
</dimensions>

```

თუკი ობიექტის ზომის მისათითებლად სანტიმეტრს ვუთითებთ (შესაბამისად ვცვლით ბეჭდურ გამოცემაში მოცემულ ზომებს), ამასთან, განსხვავებით ნარწერიანი ზედაპირისაგან, რომელიც ორგანოზომილებიანია, ობიექტს შესაძლოა სიგრძესა და სიგანესთან ერთად სიღრმის პარამეტრიც მიეთითოს.

`<dimensions>` ნარწერის ხელის აღწერისასაც გამოიყენება ასოთა სიმალლის მისათითებლად, ოღონდ ობიექტისა და ნარწერიანი ზედაპირისაგან განსხვავებით, აქ ზომას ყოველთვის მილიმეტრებში ვუთითებთ, მაგალითები შესაბამის ქვეთავშია განხილული.

ნარწერიანი ზედაპირის აღწერა

ნარწერიანი ზედაპირის შესახებ ნებისმიერი მახასიათებელი, იქნება ეს ბეჭდურ გამოცემაში მოცემული აღწერა თუ ხაზების რაოდენობა და ზომები `<layoutDesc>` თავით აღინერება.

წარწერიანი ზედაპირის ზომა ხშირად განსხვავდება მთლიანი ობიექტის ზომისაგან, ამიტომ ასეთ შემთხვევებში მისი მითითება აუცილებელია, ECG009 მხატვართუხუცეს ავრელი აქოლისის ბერძნული წარწერის კოდირების მაგალითი საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსიდან:

```
<layoutDesc>
```

```
<layout writtenLines="15">
```

```
<seg xml:lang="ka">ბერძნულწარწერიანი ფილა ორადაა გატეხილი, მასზე გამოყვანილია
```

საგულდაგულოდ და კარგი ხელით 15 სტრიქონი მთავრული ასოებით. დაზიანებულია

```
მე-11 და მე-12 სტრიქონები, მარჯვენა კიდე უმნიშვნელოდ.</seg>
```

```
<seg xml:lang="en">Plaque with Greek inscription, broken into two parts, contains 15 lines
```

with capital letters. The lines 11 and 12 are slightly damaged.</seg>

```
<dimensions unit="cm">
```

```
<width>33</width>
```

```
<height>59</height>
```

```
</dimensions>
```

```
</layout>
```

```
</layoutDesc>
```

<layout> თავის პარამეტრ `writtenLines`-ში გაინერება წარწერის სტრიქონების რაოდენობა. <seg `xml:lang="ka"`> და <seg `xml:lang="en"`> თავებით კოდირებულია ბექდურ გამოცემაში წარწერიანი ზედაპირის აღწერა, ენის მისათითებლად აქაც `xml:lang` პარამეტრი გვაქვს გამოყენებული. ხშირად ხდება ისეც, რომ ბექდურ ამოსავალ გამოცემაში არ არის მოცემული არც ობიექტისა და არც წარწერიანი ზედაპირის ზომები, ამ შემთხვევაში ზომების ველს ცარიელს ვტოვებთ, მაგალითი ECG031 მცხეთის ჯვრის 595/605 ნნ. მოსახსენებლის ფრაგმენტის კოდირებიდან:

```
<layoutDesc>
```

```
<layout writtenLines="1">
```

```
<seg xml:lang="ka">წარწერა ერთსტრიქონიანია. იგი მდებარეობს ჯვრის ტაძრის სამხრეთ
```

ფასადის დასავლეთ ნიშაში. სამ ფილაზე გამოქანდაკებული სამი ფიგურა შეადგენს კომპოზიციას:

ცენტრში დგას წმინდანი, მარცხნივ მუხლმოდრეკილი ქალის ფიგურა, რომელსაც წმინდანისაკენ გაპყრობილ ხელებში უჭრავს ბავშვი. მარჯვნივ გამოსახულია მუხლმოდრეკილი და წინ ხელებგაპყრობილი წარწინებული მამაკაცის ფიგურა. მამაკაცის თავს ზემოთ შემორჩენილია ორი გრაფემა.</seg>

```
<seg xml:lang="en">One line inscription. Located in the west niche of the south facade of Jvari
```

Monastery church. Three figures are embossed on three plaques. It consists of the following images: a Saint standing in the center, a figure of a woman on her knees who is handing a child towards the Saint on the left side. Right side is

taken by a figure of a noble man on his knees with his hand lifted up. Two graphemes are maintained above the head of the man.

```
<dimensions unit="cm">  
<width/>  
<height/>  
</dimensions>  
</layout>  
</layoutDesc>
```

წარწერის ხელის აღწერა

წარწერის ხელი და ასოთა სიმალლე `<handDesc>` თავის ქვეშ აღინერება. ხელის თავისებურებები მნიშვნელოვანი პარამეტრია როგორც წარწერის დათარიღებისათვის, ასე პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ამიტომ, ბეჭდურ გამოცემებში მოცემული წარწერის ხელთან დაკავშირებული ნებისმიერი აღწერის კოდირება აქ ხდება, ECG072 ანაპის პრიზმის წარწერის ხელის კოდირების მაგალითი:

```
<handDesc>  
<handNote>  
<seg xml:lang="ka">ბერძნული წარწერა ლამაზი მთავრულით არის შესრულებული.  
სტრიქონებს შორის მანძილი არაა დატოვებული. IV სტრიქონი შედგება ერთი ასოსა და  
განკვეთის ნიშნისაგან. წარწერის დათარიღება ხდება პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით  
(კუთხოვანი E, C, Ω; α ჩატეხილი შუა ხაზით*; α-ს და δ-ს მარჯვენა ხაზი ზემოთ  
გაგრძელებული, მრგვალი μ, ρ, φ; δ-ს თავი შედარებით პატარა; E -ს და H-ს შუახაზი ოდნავ  
გაგრძელებული წერტილი;).</seg>  
<seg xml:lang="en">  
Greek capital letters. No space between the lines. The 4th line consists of one  
letter and the mark of separation. The inscription is dated according to the paleographic  
data (E, C, Ω - with angles; α with a broken crossbar; the right line of α and δ are longer in  
the tip, μ, ρ, φ are round; head of δ is relatively small; E and H have a bit longer dot as a  
middle line;).</seg>  
</handNote>  
<dimensions unit="mm" precision="medium">  
<height>25-30</height>  
</dimensions>  
</handNote>  
</handDesc>
```

რადგან თავიდანვე ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ტექსტების სრული გაციფრულება, მოვიძიეთ ციფრული პალეოგრაფიული გამოცემებისათვის ჰარვარდის უნივერსიტეტის დუმბარტონ-ოქსის კვლევით ინსტიტუტში შექმნილი სპეციალური ფონტი Athena Ruby³³, რომელსაც აქვს A ჩატეხილი შუა ხაზით, თუმცა ჯერჯერობით ბიზანტიური სიგილოგრაფიისა და ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული გამოცემისათვის შექმნილი ამ ფონტის ყველა ერთეული (მათ შორის ჩვენი ჩატეხილხაზიანი A) არ არის უნიკოდში შეტანილი, რაც ნიშნავს, რომ წარწერის ტექსტში მისი კოდირება შესაძლებელი იქნებოდა ე.წ. გლიფების (glyphs) საშუალებით, ამ შუალედურ მიდგომაზე უარი ვთქვით, თუმცა სამომავლოდ, უნიკოდში სიმბოლოს შეტანის შემდეგ წარწერის ტექსტის რედაქტირება უნდა მოხდეს.

ვნახოთ წარწერის ხელის კოდირების კიდევ ერთი მაგალითი ECG071 ანაპის ბერძნულწარწერიანი მარმარილოს ფილისა და ყურადღება მივაქციოთ წარწერის ასოთა სიმაღლეს:

<handNote>

<seg xml:lang="ka">წარწერა გამოყვანილია ლამაზი მთავრულით, დაახლ. თანაბარი ასოებით, სტრიქონები ერთმანეთთან მჭიდროდაა. წარწერის დათარიღების სადუქველია ასოთა მოხაზულობა (α ჩატეხილი შუა ხაზით, არქაული ω, σ - კუთხოვანი სამკბილა, ε და θ-ს ჰორიზონტალური ხაზის მაგივრად აქვთ გაგრძელებული წერტილი, არაა შემოკლებები და ლიგატურები) და ენობრივი ნორმები (დაცულია i adscriptum; დაცულია კლასიკური ბერძნულისა და კოინეს მართლწერის ნორმები).</seg>

<seg xml:lang="en">The inscription is made with beautiful mostly equal capital letters, the lines are narrow. The inscription can be dated according to the shape of the letters (α with a broken crossbar, archaic ω, σ is square shape and ε and θ have longer full stops instead of a horizontal line, no abbreviation marks or ligatures) and the linguistic norms (i adscriptum; norms of Classical and Koine Greek).</seg>

<dimensions unit="mm" precision="medium">

<height>10 - 15</height>

</dimensions>

</handNote>

</handDesc>

³³ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.doaks.org/resources/athena-ruby>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარწერის ასოთა ზომის მითითებისას ვიყენებთ `<dimensions>` თავს, მხოლოდ სიმალლის მისათითებლად. მოხმობილ მაგალითში გარდა საზომი ერთეულის პარამეტრისა (`unit="mm"`), `<dimensions>` თავს მინიჭებული აქვს სანდლობის პარამეტრიც `precision="medium"`, რაც ნიშნავს, რომ ბეჭდურ გამოცემაში ზომები მიახლოებითად არის მოცემული.

ახლა განვიხილოთ ქართული წარწერების ხელისათვის შესრულებული კოდირების მაგალითები. საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსში დაცულია ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერები, ციფრული გამოცემის მიზანს თავისთავად წარმოადგენს წარწერის ტექსტის კრიტიკული და დიპლომატიური ტექსტის გვერდიგვერდ წარმოდგენა (კრიტიკული ტექსტი ყოველთვის მხედრულითაა წარმოდგენილი, დიპლომატიური კი ისე, როგორც ქვაზეა – მთავრულად, ნუსხურად, ან მხედრულად). თუმცა სანამ წარწერის ტექსტის კოდირებაზე გადავალთ, ანბანის შესახებ ინფორმაციის კოდირებას წარწერის ხელის განყოფილებაშიც ვახდენთ, რაც საშუალებას გვაძლევს კორპუსში საძიებო პარამეტრად გვექონდეს ანბანი და შესრულების ტიპი. მიყვებით მაგალითებს.

ECG092 თმოგვის მურვან კვითხისძის წარწერა:

```
<handDesc>
```

```
  <handNote>
```

```
    <rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ასომთავრული</rs> წარწერა
```

```
    <dimensions unit="mm">
```

```
      <height>6-6,5</height>
```

```
    </dimensions>
```

```
</handNote>
```

წარწერა ასომთავრულია და ამოღარვით არის შესრულებული, შესაბამისად,

კოდირებისათვის გამოყენებულია `<rs>` თავები და თითოეულისათვის

განსაზღვრულია შესრულებისა `<rs type="execution">` და ანბანის ტიპის `<rs type="script">`

პარამეტრები.

ამოღარული ასომთავრული წარწერის კიდევ ერთი მაგალითი, ECG1006 უმ

ლვისუნის იოანე ეპისკოპოსის მეხუთე საუკუნის წარწერა იერუსალიმიდან:

```

<handDesc>
  <handNote>
    <rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ასომთავრული</rs> წარწერა.
    <dimensions unit="mm">
      <height/>
    </dimensions>
  </handNote>
</handDesc>

```

აქ ყურადღება მისაქცევია, რომ ასოთა სიმაღლე ბეჭდურ გამოცემაში (A Georgian Monastery from the Byzantine Period at Khirbat Umm Leisun, Jon Seligman) არ არის მითითებული, შესაბამისად <height/> თავი დახურულია.

კორპუსში წარმოდგენილია ნუსხურწარევი ასომთავრულის ექვსი შემთხვევა, რომელთათვისაც ამგვარი კოდრება გაკეთდა:

1. ECG107 ხეოთის ვაჩაფს, გურაფს და მირაფს წარწერა

```

<handDesc>
  <handNote>
    <rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხურწარევი
    ასომთავრული</rs> წარწერა, მკაფიო და ღრმა კვეთით, მოზრდილი ასოებით. მასში
    შერეულია ნუსხური ასოები: ო, ლ, უ
    <dimensions unit="mm">
      <height>3-7-8</height>
    </dimensions>
  </handNote>
</handDesc>

```

2. ECG370 ხუნზახის VI წარწერა დალესტნიდან

```

<handDesc>
  <handNote>
    <rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხურწარევი
    ასომთავრული</rs> წარწერა
    <dimensions>
      <height/>
    </dimensions>
  </handNote>

```

</handDesc>

3. ECG375 ხუნზახის XII წარწერა დალესტნიდან

<handDesc>

<handNote>

<rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხურნარევი
ასომთავრული</rs> წარწერა

<dimensions>

<height/>

</dimensions>

</handNote>

4. ECG377 გინიჩუტლის ქართული წარწერა დალესტნიდან

<handDesc>

<handNote>

<rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხურნარევი
ასომთავრული</rs> წარწერა

<dimensions>

<height/>

</dimensions>

</handNote>

</handDesc>

5. ECG388 ტად-რაალის ქართული-ხუნძური წარწერა დალესტნიდან

<handDesc>

<handNote>

<rs type="execution">ამოღარული</rs> <rs type="script">ნუსხურნარევი
ასომთავრული</rs> წარწერა

<dimensions>

<height/>

</dimensions>

</handNote>

</handDesc>

6. ECG914 მოხისის სამების წარწერა

<handDesc>

<handNote>

<rs type="execution">ამოკვეთილი</rs> <rs type="script">ნუსხურნარევი
ასომთავრული</rs> ნარწერა. ტექსტის ყველაზე მაღალი და დაბალი ასო-ნიშნების ზომებია:
„წ“ – 7,2 სმ., „ა“ — 1,6 სმ. გრაფემათა კვეთის მაქსიმალური სიღრმეა 0.3-0.4 სმ.; ქარაგმად
სწორი განივი ხაზია გამოყენებული, განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ტექსტისათვის
დამახასიათებელია „ჲ“-ის ნაცვლად „ი“ გრაფემის გამოყენება.

<dimensions unit="mm">

<height>16-72</height>

</dimensions>

</handNote>

</handDesc>

საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსში წარმოდგენილია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით,
ნუსხურ შერეული მდივან-მნიგნობრული მხედრულითა და გარდამავალი მხედრულით
შესრულებული თითო ნარწერა:

1. ECG516 სავედრებელი ნარწერა ბასილისა კახისა

<handDesc>

<handNote>ნარწერა შესრულებულია <rs type="script">სწორი ეპიგრაფიკული
ნუსხური</rs> ხელით. ნარწერას განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს;
ნარწერის ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი და მარცხნიდან
მარჯვნივ ზევით მიმართული სწორი ხაზი.

<dimensions unit="cm">

<width>3</width>

<height>1-18</height>

</dimensions>

</handNote>

</handDesc>

2. ECG515 სავედრებელი ნარწერა უცნობი პირისა

<handDesc>

<handNote>ნარწერა შესრულებულია <rs type="script">ნუსხურ შერეული
მდივან-მნიგნობრული მხედრული</rs> დამწერლობით. ნარწერას განკვეთილობისა
და ქარაგმების ნიშანები არ ახლავს.

<dimensions unit="cm">

<width>0,3-0,4</width>

```
<height>0,2-1,5</height>
</dimensions>
</handNote>
</handDesc>
```

3. ECG490 პეტრიკოპულის წარწერა ლიხნიდან

```
<handDesc>
  <handNote>ერთსტრიქონიანი <rs type="script">გარდამავალი მხედრული</rs>
    წარწერა, განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი - განივი, სწორი ხაზი.
  <dimensions unit="cm">
    <height unit="cm">1-4,5</height>
  </dimensions>
</handNote>
</handDesc>
```


საბოლოოდ, შესრულების ტექნიკისა და დამწერლობის ამგვარი კოდირება გვაძლევს საძიებო ნუსხას:

დათარიღების საფუძველი
დამწერლობა
<p>ასომთავრული (120) გარდამავალი მხედრული (1) მდივან-მწიგნობრული მხედრული (2) მხედრული (4) ნუსხურ შერეული მდივან-მწიგნობრული მხედრული (1) ნუსხური (19) ნუსხურნარევი ასომთავრული (6) სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური (1)</p>
შესრულების ტექნიკა
<p>ამოკანრული (1) ამოკვეთილი (11) ამოდარული (95) კიდურყვავილოვანი (1) კიდურწაისრული (9) კიდურწერტილოვანი (12) ლიგატურა (1) ნაწილობრივ კიდურწერტილოვანი (1) რელიეფური (9) ფრესკული (5) შენიღებული (1) ჭედური (4)</p>
ხანმეტობა და ჰემეტობა
თარიღი ტექსტში

თვალნათელია, რომ ბეჭდურ გამოცემებში ხშირია ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნად განსხვავებული ტერმინების გამოყენების შემთხვევები, ამჟამად საძიებო ნუსხაში წარმოდგენილია ყველა ტერმინი ისე, როგორც ეს ბეჭდურ გამოცემაში გვხვდება, ამგვარი საერთო სურათის დანახვის შემდგომ, აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს ტერმინთა გარე კონტროლირებადი ლექსიკონის შექმნა, სადაც ტერმინების „გათანაბრების“ მიზნით თავს მოიყრის ყველა გამოყენებული ვარიანტი (მაგალითად, ლიგატურა და შენიღება).

TEI ჰედერის შემდეგი კომპონენტი, რომელიც ხელის აღწერილობას მოსდევს, არის წარწერის დეკორის აღსაწერად გამოყენებული თავი <decoDesc>. მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ECG072 ანაპის პრიზმის წარწერა

```
<decoDesc>
  <decoNote>
    <seg xml:lang="ka">განკვეთის ნიშანი ფოთლის სახით</seg>
    <seg xml:lang="en">the mark of separation is a leaf</seg>
  </decoNote>
</decoDesc>
```

2. ECG489 მარიამის წარწერა წმ. ეკატერინეს ხატზე ნებელდიდან

```
<decoDesc>
  <decoNote>მოოქრული ვერცხლის ჭედურ ხატზე გამოსახულია წმინდანის გამოსახულებ,
    რომელსაც ორივე მხარეს სხვადასხვა მოყვენილობის მსხვილი ვარდულების თითო რიგი
    დაუყვება. ვარდულების წვრილი რიგით დაფარულია ხატის ჩარჩოს სამი მხარე</decoNote>
</decoDesc>
```

3. ECG484 გუდავას დეკანოზის წარწერა

```
<decoDesc>
  <decoNote>
    ორნამენტირებული ჩარჩო
  </decoNote>
</decoDesc>
```

4. ECG129 საფარის მიძინების ტაძრის წარწერა კანკელის ფილის კომპოზიციისაზე

„დანიელი ლომების ხაროში“

```
<decoDesc>
  <decoNote>კანკელის წარწერიანი ფილის ზედა და მარჯვენა მხარეს დაუყვება განიერი
    ორნამენტული არშია (სიგანე 24სმ). ორნამენტები შედგენილია ფოთლოვანი და
    გეომეტრიული მოტივებისაგან. ფილის ცენტრში წარმოდგენილი ყოფილა რელიეფური
    გამოსახულება კომპოზიციისა „დანიელი ლომების ხაროში“. იგი გრეხილი ორნამენტებით
    დაფარული ლილვის ოთხკუთხა ჩარჩოში იყო ჩასმული. შემორჩენილია ჩარჩო სამ მხარეს
    (ჩამოჭრილია მარცხენა მხარეს). კომპოზიციიდან დარჩენილია დანიელის გამოსახულება,
    მთელი ტანით, მალა ამართული ხელებით (გადაჭრილია მარჯვენა ხელის მკლავი) და ერთი,
    მარჯვენა ლომის გამოსახულება. მეორე ლომი, რომელიც გამოსახული იქნებოდა ფილის
    მარცხენა ნაწილში, ამჟამად დაკარგულია. გამოსახულებას ახლდა ამოკვეთით
    შესრულებული ასომთავრული წარწერა. მოღწეულია ფრაგმენტულად. ასოთა კვეთის ღარები
```

ამონიტორი უფრო სინგულარული, რომელიც ამჟამად სუსტადაა შემორჩენილი

</decoNote>

</decoDesc>

5. ECG153 თოდოსაკის ნარწერა ატენიდან

<decoDesc>

<decoNote>

მოლიანად შეღებილია წითელი საღებავით

</decoNote>

</decoDesc>

6. ECG188 უცნობ პირთა მოსახსენებელი დაბლუტის ხეობიდან

<decoDesc>

<decoNote>ნარწერას სამი მხრიდან შემოუყვება ლილვისებრი ჩარჩო. ნახნავის ქვედა ნაწილში

გამოქანდაკებულია სიცოცხლის ხე, ხოლო მის ორივე მხარეზე – ორი ვერძი, ერთმანეთის

პირისპირ. ერთ ნახნავზე ამოკვეთილია რელიეფური „ბოლნური ჯვარი“, რომლის ორივე

მხარეს მაზღეიზმის საღმრთო თავსაკრავის ბაფთებია გამოსახული.

</decoNote>

</decoDesc>

7. ECG224 კათალიკოს იოანე V ოქროპირის სადიდებელი ნარწერა დმანისიდან

<decoDesc>

<decoNote>ბალავრის ქვაზე ცენტრში წრეში ჩახაზული ე. ნ. ბოლნური ჯვარია გამოსახული.

</decoNote>

</decoDesc>

8. ECG297 მინის ფილა სამთავროდან

<decoDesc>

<decoNote>ფილის შუაში გამოსახულია ფარშევანგი, ხოლო ირგვლივ – გეომეტრიული

ორნამენტი.

</decoNote>

</decoDesc>

9. ECG312 ზევახის ოქროს ბეჭედი არმაზიდან

<decoDesc>

<decoNote>ბეჭდის თვალზე გამოსახულია საყურაინი მამაკაცის პროფილი.

</decoNote>

</decoDesc>

10. ECG334 ნილკნის გულსაკიდის ნარწერა

<decoDesc>

<decoNote>გულსაკიდს უზის ამეთვისტოს თვალი, რომლის ბრტყელ ზედაპირზე გამოსახულია

არიადნას ბიუსტი პროფილში</decoNote>

</decoDesc>

11. ECG412 ფერწერული ხატი ლაგურკიდან

<decoDesc>

<decoNote>ორნამენტად არის ვერტიკალური ნერტილები (3 და 2).</decoNote>

</decoDesc>

12. ECG441 მსიგხუას მიქელას ნარწერა

<decoDesc>

<decoNote>კრამიტის კერამიკულ კალიბტერს ირგვლივ შემოუყვება ორმაგი რელიეფური ჩარჩო. ნარწერის ზედა და ქვედა სტრიქონები ერთმანეთისგან გამოყოფილია ორმაგი რელიეფური ხაზით.</decoNote>

</decoNote>

</decoDesc>

13. ECG447 ბედიის ანტონ ბედიელის ნარწერა

<decoDesc>

<decoNote>ნარწერა შესრულებულია მონითალო ფერის ქვაზე. ყოველი სტრიქონი ჩასმულია პარალელური ჰორიზონტალური ხაზებით შექმნილ სწორკუთხედებში, რომელთა წამახვილებული ბოლოები მთავრდება სტილიზებული ორნამენტით.</decoNote>

</decoNote>

</decoDesc>

სამომავლოდ ამგვარი კოდირების საფუძველზე, (აუცილებლობის ან სპეციალური კვლევითი ინტერესის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია კორპუსს დაემატოს მასში შესული ყველა ნარწერის დეკორის ნუსხა, ამჟამად კი დეკორის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ნარწერის ძირითად გვერდზე.

ნარწერის წარმოშობის მეტამონაცემები

ნარწერის ისტორია აღინერება <history> თავის ქვეშ. EpiDoc წესებით განსაზღვრულია ციფრული ეპიგრაფიკული გამოცემისათვის საჭირო თავების მინიმალური წყება:

<history>

<origin>

<origPlace>

წარმომავლობა

<origDate>

დათარიღება

<provenance type="found" when="1880">

აღმოჩენის თარიღი

<placeName type="ancientFindspot">

აღმოჩენის ადგილი

<rs type="circumstances">

გარემოებები

<rs type="context"/>	კონტექსტი
<rs type="monuList"/>	უნიკალური ნომერი
<placeName type="modernSpot" ref="http://museum.ge"></placeName>	ადგილი/ინსტიტუცია
<idno></idno>	საინვენტარო ნომერი
</history>	

განვიხილოთ თითოეული თავის მნიშვნელობა ECG038 ბოლნისის „ლამაზი გორის“ V/VI საუკუნის ნარნერის მაგალითზე:

```

<history>
  <origin>
    <origPlace>
      <seg xml:lang="ka">ლამაზი გორა, ბოლნისის მუნიციპალიტეტი</seg>
      <seg xml:lang="en">Lamazi Gora, Bolnisi</seg>
    </origPlace>
    <origDate notBefore-custom="0400" notAfter-custom="0600" precision="medium"
      evidence="lettering" datingMethod="#julian">V-VI AD</origDate>
  </origin>
  <provenance type="found" when="1959">
    <placeName type="ancientFindspot" ref="https://pleiades.stoa.org/places/863760">
      <seg xml:lang="ka">ლამაზი გორა, ბოლნისის მუნიციპალიტეტი</seg>
      <seg xml:lang="en">Lamazi Gora, Bolnisi</seg>
    </placeName>
    <!-- "41.449801, 44.548284"-->
  </provenance>

```

<rs type="circumstances">ძეგლი აღმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ი. გრძელიშვილი ხელმძღვანელობდა. ბოლნისის სიონიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 800 მეტრის დაშორებით მდებარეობს ბორცვი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლამაზ გორას“ უწოდებს. სწორედ ამ გორაზე ჩაატარა ექსპედიციამ გათხრები და შუა ადგილას გამოავლინა სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ვარაუდობენ, რომ ეს იყო სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც ეჭირა 1000 კვ.მ. ფართობი. ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ათეული ქვაჯვარი ასომთავრული ნარნერებით. ძეგლი იპოვეს 1959 წელს.</rs>

<rs type="circumstances">The monument was discovered by the archaeological expedition of Ivane Javakhishvili Institute of History supervised by I. Grdzelishvili. The hill that the locals call “Lamazi Gora” (a beautiful hill) is located 800 meters from Bolnisi Sioni Cathedral to the north-west. During the excavations of the hill the ruins of three-church basilica were found in the middle of it. The territory of the monastery could have been 1000 sq m. Up to ten stone crosses with Asomtavruli inscriptions were found in this territory. The monument was discovered in 1959.</rs>

```

<rs type="context"/>
<rs type="monuList"/>
</provenance>

```

```

<provenance type="observed">
<placeName type="modernSpot" ref="http://museum.ge/">
  <seg xml:lang="ka">საქართველოს ეროვნული მუზეუმი</seg>
  <seg xml:lang="en">National Museum of Georgia</seg>
</placeName>
<idno type="invNo">594</idno>
</provenance>
</history>

```

მაგალითი აჩვენებს შემთხვევას, როდესაც მართალია წარმოშობისა და აღმოჩენის ადგილი იდენტურია, მაგრამ წარწერა გადატანილია და დაცულია მუზეუმში (მითითებულია ბექდურ გამოცემაში განსაზღვრული საინვენტარო ნომერი). ხშირად ხდება, რომ წარწერის წარმოშობის, მისი აღმოჩენისა და დაცულობის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომაც არის შემოთავაზებული კოდირების ასეთი ნესი. დათარიღებისათვის <origDate> შემოთავაზებული პარამეტრი notBefore-custom="0400" notAfter-custom="0600" საძიებო სისტემას საშუალებას აძლევს მითითებულ დროის შუალედში შესრულებული წარწერები მოძებნოს. evidence="lettering" პარამეტრი კი დათარიღების საფუძველს განსაზღვრავს, (ამ შემთხვევაში, ბექდური გამოცემის მიხედვით დათარიღების საფუძველია ასოთა მოხაზულობა). თავი <rs type="circumstances"> აღწერს გარემოებებს, რომელთა შედეგადაც წარწერა იქნა აღმოჩენილი, <rs type="context"> კი უშუალო კონტექსტს, რომელშიც წარწერა იქნა ნახილი. მოვიყვანოთ კონტექსტის რამდენიმე საინტერესო მაგალითი:

1. ECG536 ტიმოთესუბნის (კიმოთისმანის) ღმრთისმშობლის ეკლესია, ეპიტაფიის ფრაგმენტი ზაზა ავალიშვილისა

<rs type="context">მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა 1947-48 წლებში ტაძრის ინტერიერის ერთ კუთხეში შეამჩნია.</rs>

2. ECG429 ლიპის ეკლესიის ქვა

<rs type="context">სოფელ ლიპის მახლობლად ცალნავიანი დანგრეული ეკლესიის გვერდით ეგდო ტუფის ქვა, შესაძლოა ეკლესიიდან ჩამოვარდნილი.</rs>


3. ECG441 მსიგბუას მიქაელას წარწერა

<rs type="circumstances">1962 წელს ნკუარას ხეობაში გამოჩნდა ძველი საკულტო ნაგებობების ნაშთი.

პირველი არქეოლოგიური დაზვერვა ჩაატარა ვ.ფაჩულიამ, მოგვიანებით არქეოლოგიურმა ჯგუფმა ა. კაციას ხელმძღვანელობით. გაირკვა, რომ ნაგებობა წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქრისტიანულ ეკლესიას. სწორედ აქ არის აღმოჩენილი აღნიშნული წარწერა.</rs>


`<rs type="context">მსხიგუას ეკლესიაში აღმოჩენილია 46 წარწერა, მამ შორის მიქელას სავედრებელი წარწერები.</rs>`

თარიღის გასწვრივ დათარიღების საფუძვლის **evidence** მითითებისას EpiDoc სქემა ავტომატურად გვთავაზობს შესაძლო ვარიანტებს:



ე.ი. წინასწარგანსაზღვრულია ტიპები: კონტექსტი, თარიღი ტექსტში, ასოთა მოხაზულობა, ნომენკლატურა, პროსოპოგრაფია, მმართველობის წლები ან ტიტულატურა.

წარწერის ფოტოლოკუმენტაციის კოდირება, (EFES-ში წარმოქმნილი პრობლემა და გადაჭრის მაგალითი Archetype-ის საშუალებით სექ-დან) თითოეული წარწერის ფოტოს სახელდება ხდება კორპუსში მისთვის მინიჭებული უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით და ფოტოები პროექტის შესაბამის ქვეფოლდერში თავსდება:



უშუალოდ წარწერის XML-ში კი ეთითება ფოტოს დასახელება და აღწერითი ტექსტი:

```
<facsimile>
  <surface>
    <graphic url="ecg038.jpg">
      <desc xml:lang="ka">ბოლნისის „ლამაზი გორის“ ჯვარი ბარნაბასი, V/VI
        საუკუნე</desc>
      <desc xml:lang="en">Bolnisi "Lamazi Gora" cross of Barnaba</desc>
    </graphic>
  </surface>
</facsimile>
```

სამწუხაროდ, EpiDoc წესების მიხედვით შესრულებული ეს კოდირება არ გამოდგა EFES პლატფორმაზე ჩვენი კორპუსის ფოტოდოკუმენტაციის წარმოსადგენად, ამიტომაც წარწერებს მივაბით შესაბამისი ბმულები ცალკე შექმნილი პალეოგრაფიული ალბომის გვერდიდან, <http://paleography.iliauni.edu.ge>, რომელიც Archetype პლატფორმაზეა აწყობილი:

```
<facsimile>
  <surface>
    <graphic url="paleography.iliauni.edu.ge/digipal/page/17/">
      <desc xml:lang="ka">უმ ლეისუნის წარწერა</desc>
      <desc xml:lang="en"></desc>
    </graphic>
  </surface>
</facsimile>
```

ბიბლიოგრაფიის კოდირება წარწერის ფაილში

კორპუსში შემავალი თითოეული წარწერის XML ფაილში კოდირებულია ყველა ბეჭდური გამოცემა, რომელსაც ეყრდნობა კოდირება და ციფრული გამოცემა. განვიხილოთ მაგალითები:

1. ECG255 დმანისი, დასავლეთ კარიბჭის საამშენებლო წარწერა მამათმთავარ

თევდოსისა

```
<div type="bibliography">
```

```
<p><bibl n="1">გიორგი ოთხმეზური, დმანისი, ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I,
```


<citedRange>160-162</citedRange>, თბილისი, 2018<ptr target="bibliography.xml#b7"/></bibl></p>

<p><bibl n="2">ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), შოთა
რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი,
1938<citedRange>284-286</citedRange><ptr target="bibliography.xml#b222"/>
</bibl></p>

<p><bibl n="3">გიორგი ოთხმეზური, დმანისის რაიონის ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერების
მიმოხილვა და ისტორიული ექსკურსი), <citedRange>37-38</citedRange>, თბილისი, 2016<ptr
target="bibliography.xml#b216"/></bibl></p>

<p><bibl n="4">ვალერი სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები (ზოგადი მიმოხილვა), კრებ. „დმანისი“,
II, თბილისი 2000, <citedRange>226</citedRange><ptr target="bibliography.xml#b218"/>
</bibl></p>

<p><bibl n="5">ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან
(დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით), <citedRange>47-48</citedRange>
თბილისი, მეცნიერება, 1982 <ptr target="bibliography.xml#b219"/>
</bibl></p>

<p><bibl n="6">ექვთიმე თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ჟურნ. კავკასიონი,
პარიზი 1929, <citedRange>102-103</citedRange><ptr target="bibliography.xml#b231"/>
</bibl></p>

</div>

2. ECG011 ვანის დეკრეტი

<div type="bibliography">

<p><bibl n="1">თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი<ptr
target="bibliography.xml#b81"/>, <citedRange> 149-150</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="2">თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები<ptr
target="bibliography.xml#b194"/>, <citedRange> 241-245</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="3">თინათინ ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, ტ. I<ptr
target="bibliography.xml#b82"/>, <citedRange> 149-150</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="4">თინათინ ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში<ptr
target="bibliography.xml#b80"/>, <citedRange> 92</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="5">ოთ. ლორთქიფანიძე, ვანი, არქეოლოგიური გათხრები<ptr target="bibliography.xml#b139"/><citedRange></citedRange></bibl></p>

<p><bibl n="6">O. Lordkipanidzé, Vani, une Pompei géorgienne<ptr target="bibliography.xml#b140"/><citedRange></citedRange></bibl></p>

<p><bibl n="7">O. Lordkipanidze, Vani, ein antikes religiöses Zentrum des goldenen Vlieses (Kolchis)<ptr target="bibliography.xml#b141"/>, <citedRange>353-401</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="8">Medeas Gold - Neue Funde aus Georgien<ptr target="bibliography.xml#b142"/><citedRange></citedRange></bibl></p>

<p><bibl n="9">Michael Vickers, Vani, rich in gold<ptr target="bibliography.xml#b143"/>, <citedRange>35-36</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="10">თინათინ ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერები<ptr target="bibliography.xml#b195"/><citedRange></citedRange></bibl></p>

<p><bibl n="11">თინათინ ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფილაზე<ptr target="bibliography.xml#b196"/><citedRange></citedRange></bibl></p>

<p><bibl n="12">Тинатин Каухчишвили, Греческая надпись на бронзовой плите из Вани<ptr target="bibliography.xml#b197"/>, <citedRange> 248-261</citedRange></bibl></p>

</div>

თაგში <citedRange> განსაზღვრულია ციტირებული ნაშრომის გვერდები. თითოეული ეს ნაშრომი თავს იყრის ბიბლიოგრაფიის ე.წ. შიდაკონტროლირებად XML ფაილში bibliography.xml, სადაც კორპუსში დამონმებულ თითოეულ ნაშრომს მინიჭებული აქვს უნიკალური იდენტიფიკატორი, რომლის საშუალებითაც ხდება წარწერის XML-ისა და შიდაკონტროლირებადი სიის დაკავშირება, მაგალითად, ECG053 ბოლნისის სიონის 494 წ. ამშენებლისა და ხელოსნების მოსახსენებლის XML ფაილში ბიბლიოგრაფია ასე გამოიყურება:

<div type="bibliography">

<p><bibl n="1">ნოდარ შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები<ptr target="bibliography.xml#b101"/>, <citedRange> 67-68</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="2">კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია<ptr target="bibliography.xml#b92"/>, <citedRange> 16-17</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="3">M. Brosset, Letres dn M. Bartholomaei relatives aux auntiquites géorgiens<ptr target="bibliography.xml#b19"/></bibl></p>

<p><bibl n="4">ივანე ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის<ptr target="bibliography.xml#b85"/>, <citedRange> 320-323</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="5">აკაკი შანიძე, ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნაში<ptr target="bibliography.xml#b60"/>, <citedRange> 277</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="6">ივანე ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია<ptr target="bibliography.xml#b86"/>, <citedRange> 158</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="7">გიორგი ჩუბინაშვილი, რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან<ptr target="bibliography.xml#b66"/>, <citedRange> 61</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="8">აკაკი შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ<ptr target="bibliography.xml#b59"/>, <citedRange> 1, 107</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="9">გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია<ptr target="bibliography.xml#b131"/>, <citedRange> 42</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="10">ლევან მუსხელიშვილი, ბოლნისი<ptr target="bibliography.xml#b93"/>, <citedRange> 328-329</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="11">Н. Г. Чубинашвили, Болнисский сион<ptr target="bibliography.xml#b45"/>, <citedRange>63-68</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="12">ივანე ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია<ptr target="bibliography.xml#b87"/>, <citedRange> 163, 279-280</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="13">ილია აბულაძე, ქართლი წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი<ptr target="bibliography.xml#b88"/>, <citedRange> 4-5</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="14">ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია<ptr target="bibliography.xml#b112"/></bibl></p>

<p><bibl n="15">M. Tarchnišvili, Les récentes découvertes épigraphiques et littéraires en géorgien<ptr target="bibliography.xml#b24"/>, <citedRange>250</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="16">I. Molitor MIA CSCO<ptr target="bibliography.xml#b15"/>, <citedRange>1, 1</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="17">აკაკი შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები<ptr target="bibliography.xml#b61"/>, <citedRange> 278</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="18">შალვა ამირანაშვილი, ბოლნისის ტაძრის აგების თარიღის დაზუსტებისათვის<ptr target="bibliography.xml#b113"/>, <citedRange>3</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="19">G. Deeters, Das Alter der georgischen Schrift<ptr target="bibliography.xml#b12"/>, <citedRange>p.63</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="20">კორნელი კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის<ptr target="bibliography.xml#b90"/>, <citedRange> 418</citedRange></bibl></p>

<p><bibl n="21">6. ჯანბერიძე, ქართული არქიტექტურის ძეგლები<ptr

```

target="bibliography.xml#b89"/></bibl></p>
<p><bibl n="22">В. Беридзе, Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века<ptr
target="bibliography.xml#b36"/>, <citedRange>27</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="23">ილია აბულაძე, ქართლი წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი<ptr
target="bibliography.xml#b89"/>, <citedRange> 8-9</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="24">Н. Г. Чубинашвили, Хандиси<ptr target="bibliography.xml#b48"/>,
<citedRange>64</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="25">აკაკი შანიძე, ბოლნისის წარწერები<ptr target="bibliography.xml#b57"/>, <citedRange>
29</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="26">რამაზ პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები<ptr
target="bibliography.xml#b137"/>, <citedRange> 140-159</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="27">ბ. მჭედლიშვილი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის<ptr
target="bibliography.xml#b138"/>, <citedRange> 100-114</citedRange></bibl></p>
<p><bibl n="28">ე. მაჭავარიანი ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერა<ptr
target="bibliography.xml#b140"/></bibl></p>
<p><bibl n="29">გურამ ყიფიანი, ბოლნისის სიონის უძველესი წარწერა<ptr target="bibliography.xml#b139"/>,
<citedRange> 666-675</citedRange></bibl></p>
</div>

```

ახლა ვნახოთ კორპუსის ბიბლიოგრაფიის სრულ სიაში პირველი ციტირებული ნაშრომი:

```

<bibl xml:id="b99"><bibl type="abbrev">შოშიაშვილი, 1958</bibl>
<author>ნოდარ შოშიაშვილი</author>, <title>ნაქალაქარი ურბნისი</title>: „ცისკარი“, #4, 1958
</bibl>

```

```

<bibl xml:id="b100"><bibl type="abbrev">შოშიაშვილი, 1965</bibl>
<author>ნოდარ შოშიაშვილი</author>, <title>ურბნისის ძველი ქართული წარწერები:
პალეოგრაფიული ძიებანი</title>. I, 1965
</bibl>

```

```

<bibl xml:id="b101"><bibl type="abbrev">შოშიაშვილი, 1980</bibl>
<author>ნოდარ შოშიაშვილი</author>, <title>ქართული წარწერების კორპუსი,
ლაპიდარული წარწერები</title>, თბილისი 1980, ტ. I
</bibl>

```

თავში `<bibl type="abbrev">` ვუთითებთ ავტორის გვარსა და ნაშრომის თარიღს, ეს ჩანაწერი გამოიყენება ნაშრომზე შემოკლებული ფორმით მისათითებლად. ამგვარი კოდირების საფუძველზე, კორპუსის ბიბლიოგრაფიის სიაში, შემოკლებულ სახელზე დაჭერით

მკითხველს საშუალება აქვს ნახოს ყველა წარწერა, რომლის XML ფაილიც ამ ნაშრომს ციტირებს. მაგალითად, საერთო ბიბლიოგრაფიის ნუსხაში „სილოგავა, 1994“ მონიშვნის შემდეგ, გადავდივართ შიდა გვერდზე, სადაც ვხედავთ ნაშრომის ციტირებულ გვერდებსა და წარწერის უნიკალურ დასახელებას:


ECG
წარწერები ▾ ინდექსი ▾ კონკორდანსი ▾ ენა ▾

ბიბლიოგრაფია: სილოგავა, 1994

ვალერი სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბილისი 1994

52-54	ECG141
54-56	ECG142
56-58	ECG143
58-59	ECG144
59-60	ECG145
62-64	ECG146 ECG151
65-70	ECG148
70-71	ECG149
44	ECG134
72	ECG150

კორპუსის სრული ბიბლიოგრაფია ხელმისაწვდომია მთავარ მენიუს „კონკორდანსის“ განყოფილების ქვეშ და ასე გამოიყურება:



[ბასმაჯიანი, 1931](#): ყ.წ. ჩაამაგნას ზაქერქს არბანსაგიოქისსჲ ასსიქ , ჩადსაქიქ ს მარძაქისილ ჴარქი, 1931

[ორბელი, 1965](#): ზ. ა. ორბელი ჴიქას ხაქ ქიმაგიოქას ᴒ.1, სრსას 1965

[სარგისიანი, 1864](#): სერსხ სარგიხსას სთღაგიოქისსჲ ქ ფიქი ს ქ სთბ ზაქს ქსსსთიქ, 1864

[MIA CSCO Vol 166](#): I. Molitor MIA CSCO. Vol 166. Subsidia, 10

[აბულაძე, 1949](#): ილია აბულაძე, ქართლი წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, 1949

აბულაძე, 1964: ვლადიმერ აბულაძე , საავალიშვილოს ისტორიიდან

აბულაძე, 1973: ილია აბულაძე, ქართლი წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, 1973

აბულაძე, 1983: ვლადიმერ აბულაძე , ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო

ალადაშვილი, 1954: ნათელა ალადაშვილი რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის გამოსახულებით

ალექსიძე, 1987: ზაზა ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები, თბილისი, 1978

ალექსიძე, 2011: ზაზა ალექსიძე, ლუვრი, სინას მთა, ნაზარეთი: ეპიგრაფიკული ეტიუდები, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ტ.2, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თბილისი, 2011

ალექსიძე, 2012: ზაზა ალექსიძე ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისთან, თბილისი, 2012

ალექსიძე, 2016: ზაზა ალექსიძე, ლუვრი - ახტალა, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 3, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016

კორპუსის კოდირებული წარწერებიდან ავტომატურად გენერირებული ბმულებით დაკავშირებული სრული ბიბლიოგრაფია წარმოდგენილია დანართის სახით.

წარწერის ტექსტის კოდირება

წარწერის ტექსტის კოდირებისათვის EpiDoc-ში გამოყოფილია ელემენტი ატრიბუტით „გამოცემა“ - `<div type="edition">`. საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის შემთხვევაში გამოცემის ელემენტს ასევე განსაზღვრული აქვს გამოცემის ტიპის (`xml:space="preserve"`), წარწერის ენისა (`xml:lang="ka"`) და დამწერლობის ელემენტები (`ana="mtavruli"`):

```
<div type="edition" xml:space="preserve" xml:lang="ka" ana="mtavruli">
```

რადგან კორპუსში დაცულია ქართული, ბერძნული, არამეული, სომხური და ლათინური წარწერები, თითოეულ ენაზე შესრულებულ წარწერას შესაბამისი ენის კოდი აქვს განერილი, რაც წარწერების ენის მიხედვით ფილტრაციის შესაძლებლობას ქმნის:

1. ECG018 ნოქალაქევის ბულა

```
<div type="edition" xml:lang="grc" xml:space="preserve">
```

2. ECG173 ჰალბატის „ერახორანის ჯვრების“ თხუთმეტსტრიქონიანი სომხური წარწერა

```
<div type="edition" xml:lang="hy" xml:space="preserve">
```

3. ECG1068 მცხეთის არამეული წარწერა

```
<div type="edition" xml:lang="arc" xml:space="preserve">
```

4. ECG302 ლათინურენივანი წარწერის ფრაგმენტი, „არიანეს“ წარწერა

```
<div type="edition" xml:lang="la" xml:space="preserve">
```

დავუბრუნდეთ ქართულ წარწერებს, თუკი ხელის აღწერაში მითითებული დამწერლობის ტიპი საძიებო გვერდის ასაგებად გამოიყენება, გამოცემის ტიპში მითითებული ანბანის ტიპი დიპლომატიური გამოცემის შესაბამისი ფორმით წარმოსადგენად არის აუცილებელი. EpiDoc წესების 9.0 ვერსიაში შევიდა საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსისათვის XSL სქემაში (tpl-text.xsl) შეტანილი ჩანაწერი, რომელიც წარწერის გვერდზე კრიტიკული და დიპლომატიური ტექსტს შესაბამისი ანბანით წარმოადგენს:

```
<xsl:when test="$parm-edition-type = 'diplomatic' and ancestor::t:div[@type='edition'] and not(ancestor::t:head) and ancestor-or-self::t:*[@xml:lang][1][@xml:lang='ka'] and ancestor-or-self::t:*[@ana='mtavruli']">
  <xsl:value-of
select="translate(.,'აბგდეეზზთიკლმნოპჟრსტყუფქცძმცხჭჯვჰჳ','აბგდევზთიკლმნოპჟრსტყუფქცძმცხჭჯვჰჳ')"/>
</xsl:when>
```

```

<xsl:when test="$parm-edition-type = 'diplomatic' and ancestor::t:div[@type='edition'] and
ancestor-or-self::t:[@xml:lang][1][@xml:lang='ka']
and ancestor-or-self::t:[@ana='nuskhuri']">
<xsl:value-of
select="translate(.,'აბგდეეზჳთიკლმნპჟრსტკუფქღყმჩცძწხჯვჭჳ','ლყებღოხოხოხომნაასახსლსცაქძიყყიღიძოც
ყყჴირ')"/>
</xsl:when>

```

ეს ორი ჩანაწერი ბუნებრივ ენაზე ასე შეიძლება ითარგმნოს: იპოვე პარამეტრი 'დიპლომატიური გამოცემა' და წარწერის დიპლომატიურ ტექსტში, რომელსაც ენად მითითებული აქვს ქართული (@xml:lang='ka'), დამწერლობად კი მთავრული (@ana='mtavruli'), მხედრული ასოები ჩაანაცვლე შესაბამისი მთავრული ასოებით, სადაც დამწერლობის ენად მითითებულია ნუსხური (@ana='nuskhuri') მთავრული ასოები შეიცვალოს ნუსხურით. თუკი წარწერის ენად მითითებულია ქართული ენა, დამწერლობა კი არ არის მითითებული, კრიტიკული და დიპლომატიური გამოცემის განყოფილებაში ტექსტი მხედრულით იქნება წარმოდგენილი, მაგალითად ECG387 ჰალას ქართული-ხუნძური წარწერის გვერდი:

ბოლო აღწერილი მდებარეობა: [დაღესტნის სახელ](#)
 ტექსტის კატეგორია [სავედრებელი](#)
 რედაქტორი/გამომცემელი: არნოლდ ჩიქობავა, შ;
 ცვლილებები ფაილში: 2019-10-29 Eka Kvirkve
 ციფრული გამოცემა: ილიას სახელმწიფო უნივერს

ბოლო აღწერილი მდებარეობა: [დაღესტნის სახელმ](#)
 ტექსტის კატეგორია [სავედრებელი](#)
 რედაქტორი/გამომცემელი: არნოლდ ჩიქობავა, შაპ
 ცვლილებები ფაილში: 2019-10-29 Eka Kvirkveli
 ციფრული გამოცემა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტ

კრიტიკული	დიპლომატიური
5	ჰ(უა)რი ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე თ(ეოდორ)ე წ(მიდა)- ო თ(ეოდორ)ე წ(მიდა)ო სარკელი წობთეგ ი ბოტბ ჩაჰლტა რა[] ვ ჩჰე სიტა
10	ა(მენ)ო ლ(ვფალო) ღ(მერთ)ო ჩ(უენ)ო გაბრ(იე)ლი დაიცოვ(ენ)

კრიტიკული	დიპლომატიური
5	ჰაიო ჩიქ ყო თოქო ა თოქოა საძიქორო რაყთოვ ო ყაყყ ჩიროთეძე ძიე[] ოქ ჩიოქ სოძე ღი ა იოა ჩიჩა
10	ღეყსორო ბეიოღაქი

საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსზე მუშაობისას შევიმუშავეთ წარწერის კოდირების ეფექტიანი მიმდევრობა:

ამოსავალი გამოცემისა და ბიბლიოგრაფიის დამუშავების შემდეგ, წარწერას ვანიჭებთ უნიკალურ იდენტიფიკატორს და შეგვაქვს წარწერების ნუსხაში:

წარწერის სახელი	სათაური	ქართული XML	ნათარგმნი XML	TK: რედაქტირება	ბიბლიოგრაფია	ფოტო	Prosopography
ECG001	არმაზის ბილინგვა	https://drive.google.com/f				✓	
ECG002	ნილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	✓
ECG003	სეფიეთის კირძულს ფილა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	✓
ECG004	სეფიეთის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	✓
ECG005	არმაზციხე-ბაგინეთი. ფრაკოების დედოფლის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	✓
ECG006	არმაზციხე-ბაგინეთი. ამაზასპეს შუდღის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	✓
ECG007	ნოსიონის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	Not applicable
ECG008	ბერძნულწარწერიანი კირძულს ფილა კავთისხევიდან	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	Not applicable
ECG009	სამთაჯროს სამაროვნის ბერძნულწარწერიანი ფილა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	✓
ECG010	საპაკეფხის წარწერა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG011	ვანის ფეკრები	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	Not applicable
ECG012	წყისეს წარწერა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG013	აკურთის ეკლესიის საამშენებლო წარწერის ფრაგმენტი	https://drive.google.com/c		✓	✓	–	Not applicable
ECG014	ნუხის ბერძნულწარწერიანი ფილა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	✓
ECG015	ბერძნულწარწერიანი ვერცხლის ლანჯარი (ბერსუმა პოტიახშისა)	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	✓
ECG016	ადენის სიონი. მოსახსენებელი შუდღის შუმშნული ხელოსნისა (ადენის სარქულის წარწერა)	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG017	წარწერა თუთიის მუდღალიონზე წებულდიდან	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	Not applicable
ECG018	კაზრეთის კვარცხლობები	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	Not applicable
ECG019	ვაშლის ბერძნული წარწერა	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	Not applicable
ECG020	ოქროს ბეჭედი წარწერით „დედატოს“	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	✓	✓
ECG021	ბერძნულწარწერიანი ბრინჯაოს მუდღალი	https://drive.google.com/c	https://drive.g	✓	✓	–	✓
ECG022	ზემო ნიქოზის დფთაბის ტაძრის მოსახსენებელი ამშენებელ ზაქარია პირველი ეპისკოპოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	–	✓
ECG023	ზემო ნიქოზის დფთაბის ტაძრის საამშენებლო წარწერა ეპისკოპოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	–	✓
ECG024	ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის საამშენებლო წარწერა მიქაელ ეპისკოპოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG025	ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძარი, მოსახსენებელი მიქაელ ეპისკოპოსის დისწელისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG026	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი სტეფანოს ქართლის პატრიკოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG027	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი დემეტრე ვპატოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG028	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი ადარნარსე ვპატოსისა და ქიბელისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG029	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი ქობულ-სტეფანოსისა	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG030	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი თემისტიას	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	✓
ECG031	მცხეთის ვერის წარწერა, მოსახსენებელი თემისტიას	https://drive.google.com/c		✓	✓	✓	Not applicable

შემდეგ ვქმნით ახალ EpiDoc XML ფაილს და ვინახავთ წარწერების ფოლდერში. ამის შემდეგ ვავსებთ TEI ჰედერის ზემოთგანხილულ ელემენტებს და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგებით წარწერის ტექსტის კოდირებას. მუშაობის გასაადვილებლად წარწერის გამოცემული მხედრული ტექსტი გადმოგვაქვს კომენტარის ველში, მაგალითად, ECG194 თეკლა პირველმონამის წარწერა:

```

<!--
1. [ქ. თ(ე)კლ
2. ა] პ(ი)რ
3. [ვ]ელ
4. [მ(ო)ნ](ამ)ე
-->

```

ამ ნაბიჯის აუცილებლობა გვაჩვენა სწავლების პროცესმა, ლინგვისტური ანოტირებისას ტექსტი იტვირთება თავებით და თვალსაჩინოებისათვის კომენტარის ველში „სუფთა“ ტექსტის ქონა აადვილებს კოდირებას და თავიდან აგვაცილებს დაბნეულობასა და შეცდომებს. ამასთან, ციფრული ეპიგრაფიკის კურსის სტუდენტებისათვის ესაა პირველი

სავარჯიშო, ამოიცნონ ბეჭდური გამოცემის პირობითი აღნიშვნები და მიუსადაგონ, შეცვალონ ისინი EpiDoc წესების შესაბამისი თავით.

